# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 10 მაისი, 2011 წელი.

№86 (6697)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


**შეურაცხყოფილი წარსული**

## რეზო ჩხეიძე: ევროპა, რომელმაც ფაშიზმზე გამარჯვება იზეიმა, საბჭოთა კავშირის გამარჯვებას ზეიმობდა?

***66 წელი გავიდა, რაც მსოფლიომ ფაშიზმზე გამარჯვება იზეიმა. მილიონობით დაღუპული ადამიანი, დანგრეული და მიწასთან გასწორებული ქალაქები და სოფლები. მსოფლიომ მაშინ დიდი მსხვერპლი გაიღო. საქართველოდან ომში წასული 700 000 ჯარისკაცი და 300 000-მდე დაღუპული ჯარისკაცი. ყოველწლიურად ომის ვეტერანები სულ უფრო ცოტანი რჩებიან და ძალიან ცოტაა იმ ადამიანთა რიცხვიც, ვინც მათ ამ გამარჯვებას ულოცავს.***

***რატომ გაუფერულდა 9 მაისი საქართველოში, ვისი სურვილით ჩავაბარეთ კომუნიზმისა თუ საბჭოთა კავშირის ისტორიას მეორე მსოფლიო ომი და როგორ არის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარში შეტანილი 9 მაისი? „ჯორჯიან თაიმსი“ „ჯარისკაცის მამისა“ და „ღიმილის ბიჭების“ რეჟისორს რეზო ჩხეიძეს ესაუბრა.***



ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, არ მესმის რატომ გავრცელდა შეხედულება საქართველოში, რომ 9 მაისის აღნიშვნა არ გვინდა, როდესაც მთელი მსოფლიო ფაშიზმზე გამარჯვებას აღნიშნავს, და რომ ეს ჩვენი ომი არ იყო. მე შევეცდები, ჩემი დამოკიდებულება მოგახსენოთ ამის შესახებ. მე მგონია, რომ მონაწილეობა მსოფლიო ომში, როდესაც ერთ მხარეს იდგა ფაშიზმი, რუმინეთისა და იტალიის არმიები, ამ შავბნელი ძალის დამარცხება, რომელსაც მსოფლიოში უდიდესი უბედურება მოჰქონდა, სხვისი ომი არ ყოფილა. ეს არ ყოფილა რომელიმე ქვეყნის ლოკალური ომი, და ამ ომში თურმე, საქართველოც მონაწილეობდა და თითქოს საქართველოს ამ ომში მონაწილეობა ფიქტიური იყო.

მე ხელში მიჭირავს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის 2011 წელს გამოცემული კალენდარი, რომელსაც აწერია, რომ დაიბეჭდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მთავარეპისკოპოსის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით. ქართული ეკლესია ჩემი დაბადების, არსებობისა და განვითარების საფუძველია, უწმინდესი კი ადამიანი, რომელიც ქართველი ერის ბედნიერებისთვის არის გაჩენილი და მისი თითოეული სიტყვა, ჩემთვის კანონია. ვფიქრობ, ქართველმა ხალხმაც ასე უნდა იფიქროს. ამ წიგნში, რომელშიც კალენდარიც არის დაბეჭდილი, მითითებულია სამოქალაქო უქმეები: 7 იანვარი – შობა უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი; 19 იანვარი – ნათლისღება უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი; 9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპულთა მოხსენიების დღე; 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე; 12 მაისი – წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე; 26 მაისი – საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის დღე და ა.შ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს არ არის მხოლოდ საბჭოთა კავშირის გერმანიაზე გამარჯვების დღე, ეს არის ფაშიზმზე გამარჯვების დღე.

**– ქართული სამოციქულო ეკლესიაც აღიარებს ამ დღესასწაულს...**

– შობა უფლისა, ნათლისღება უფლისა, წმინდა ანდრიას ხსენების დღე, მარიამობა, გიორგობა და ფაშიზმზე გამარჯვების დღეც შესულია სამოციქულო ეკლესიის მიერ დაბეჭდილ კალენდარში.

ქართული ეკლესია მე გონებას მინათებს და მეუბნება, რა გზით ვიარო, ქართულ ეკლესიას თავისი მრევლისთვის, ანტიეროვნული არაფერი უქადაგებია.

მინდა მოგახსენოთ ქართველი ხალხის საამაყო მონაწილეობის შესახებ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. რამდენიმე წლის წინათ, მე და ბატონი გიორგი შენგელაია, მიპატიჟებული ვიყავით ამერიკაში, კალიფორნიაში. ბერკლის უნივერსიტეტის მუზეუმში ქართული კინოს დღეები გაიმართა. სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როდესაც მე და გიორგი შენგელაიამ ვიმოგზაურეთ ამერიკაში. მე მის ფილმებს ძალიან დიდ პატივს ვცემ და დარწმუნებული ვარ, რომ ის შემდგომშიც არაჩვეულებრივ სურათებს გადაიღებს. მინდა დავამატო, რომ ქართულ კინოში მე მისი ნათლია გახლავართ. ჩემს ფილმში „ჩვენი ეზო“ გიორგი შენგელაიამ ითამაშა მთავარი როლი, რაც მისი კინომოღვაწეობის დასაწყისი იყო.

იხ. 2 გვ.

### ღამე თბილისის ქუჩებში კომენდანტის საათი მოქმედებს?! ③





### „მაგთიკომის“ კარგი ქართული საქმე ⑨

**ანუ „ლორთქიას“ არაჩვეულებრივი „მასპინძლობა“**

### „ქუჩის ბავშვები“ აზერბაიჯანიდან საქართველოში გადმოვიდნენ ⑤



### რატომ აქვს ისრაელს კავშირები სეპარატისტულ სახელმწიფოსთან, რომელსაც მხარს „ჰამასი“ უჭერს? ⑧

HA'ARETZ

### ვანდალიზმი ქუთაისში ③

**ხეივნის ტრაგიკული აღსასრული**



### აქურული ტენდერი,

**ანუ ბულდოზერული სოციოლოგია** ④

### „ვარდების რევოლუციიდან 7 წლის შემდეგაც სოფელ დიღომში წყლის, გზის და მიწის საკითხი არ მოგვარებულა“ ⑪

შეურაცხყოფილი წარსული

# რეზო ჩხეიძე: ევროპა, რომელმაც ფაშიზმზე გამარჯვება იზეიმა, საბჭოთა კავშირის გამარჯვებას ზეიმობდა?



(პირველი გვერდიდან)

ბერკლის უნივერსიტეტში ყოველი ქართული ფილმის ჩვენებას პრესკონფერენცია მოსდევდა. როდესაც აჩვენეს „ჯარისკაცის მამა“, ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი ადგა და შემეკითხა, მე, როგორც ვიცი, ხართ ქართველი, საქართველო პატარა ქვეყანაა და თქვენი ფილმის მიხედვით გამოდის, რომ ქართველმა ხალხმა ამ ომში დიდი მინაწილეობა მიიღო. მე მაინტერესებს, ქართველი რეჟისორი, რატომ დაინტერესდით ამ ომითო? მე მას კითხვით ვუპასუხე – რამდენი მოქალაქე და მეომარი დაკარგა მეორე მსოფლიო ომში ამერიკამ? – მან სიამაყით განმიცხადა – ჩვენ 300 000 მებრძოლი დავკარგეთ. მაშინ მე ვუთხარი – თქვენ მსოფლიოს უზარამზარი ქვეყნის წარმომადგენელი ხართ, გეოგრაფიული სიდიდით, არმიით და ფლოტით, ჩემი სამშობლო სულ ერთი ციცქნაა, მსოფლიო რუკაზე ძლივს ჩანს და ჩემმა სამშობლომ 400 000-მდე მებრძოლი დაკარგა ამ ომში, მაშინ როცა საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონს აღწევდა. ჩემს პასუხს მთელი აუდიტორია ტაშით შეხვდა.

ფაშიზმი უდიდესი ძალა იყო, შავბნელი, მაგრამ უდიდესი. ვიდრე ისინი საბჭოთა კავშირში შემოიჭრებოდნენ, ევროპა დაიპყრეს. გერმანიამ საფრანგეთი, ეს უდიდესი ქვეყანა 39 დღეში, ჰოლანდია 5 დღეში, ბელგია 18 დღეში, პოლონეთი 27 დღეში, დანია 24 დღეში, იუგოსლავია 12 დღეში, საბერძნეთი 21 დღეში დაიპყრო. შეიძლება ჩემი მხრიდან თავხედობაც იყოს, მაგრამ ეს ციფრი სამარცხვინოა. საბჭოთა კავშირს გერმანია 5 წელი ებრძოდა და ბოლოს თვითონ დამარცხდა. ეს არ იყო ცხენების და კავალერისტების ბრძოლა, ეს იყო მოტომექანიზებული ძალების შეტევები, რომლებსაც უკან ფეხოსანთა არმია მიჰყვებოდა, ავიაციის დიდი შენაერთებით. საბჭოთა კავშირში დიდი მობილიზაცია გამოცხადდა, ეს საქართველოსაც შეეხო. 300 000-მდე მებრძოლი დაკარგა საქართველომ მსოფლიო ომში და არა საბჭოთა კავშირის ომში. საქართველოს მოსვენებული ცხოვრება არასადროს ჰქონია, ცალ ხელში ხმალი ეჭირა, მეორეში გუთანი და ცელი. მე-7-8 ს.ს არაბთა ლაშქობა საქართველოში, ვახტანგ გორგასლის დაუსრულებელი ბრძოლები დამოუკიდებლობისთვის, მურვან-ყრუს და ბულა-თურქის ლაშქრობები, დავით აღმაშენებლის დიდგორის ომი, თამარის ბასიანის ომი, მონღოლთა შემოსევები, ჯალალედინის შემოსევა და თბილისის აოხრება, თემურ-ლენგის ლაშქრობა, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლები, აპინძისა და კრწანისის ომები, როდის იყო ქართველი კაცი მოსვენებული? როდის ქმნიდა „ვეფხისტყაოსანს“, „ხახულის ხატს“, ქართულ ანბანს, როდის ქმნიდნენ ბექა და ბეშქენ ოპიზრები თავის ხელოვნებას? ქართველი კაცი, გუთანსა და ვენახზე შეყვარებული, მუდმივ ომებში იყო. მან შესანიშნავად იცოდა საკუთარი ოჯახის და კერის დაცვის ფასი და საკუთარი სიცოცხლეც ისევე ჩადო მეორე მსოფლიო ომში.

**— დავუშვით თუ არა შეცდომა, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 9 მაისის გამარჯვებაც კომუნიზმის და საბჭოთა კავშირის ისტორიას ჩავაბარეთ?**

— რა თქმა უნდა. საუბარი იყო საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე და ისე მოვიქეცით, თითქოს ჩვენ, მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობა არ მიგვიღია და 300 000 ადამიანის სიცოცხლეც არ შეგვიწირავს. თუმცა, ეს არ ყოფილა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომი, ეს მეორე მსოფლიო ომი იყო, რომელიც ფაშიზმისა და არაკაცური იდეოლოგიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს შეხედულება ჩამოყალიბდა ქართველ ხალხში, პროპაგანდა გაეწია პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

**— ნუ ვიტყვით ,ქართველებო, ამაზე უარს, მე საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებსაც მინდა მივმართო, ნუ ვიტყვით იმ ომზე უარს, სადაც 300 000 ქართველის სიცოცხლეა ჩადებული და რომელსაც მთელი მსოფლიო აღნიშნავს და პატივს მიაგებს. ქართველმა კაცმა, მელიტონ ქანთარიამ გამარჯვების დროშა რაიხსტაგის თავზე აღმართა.**

— მე ტყუილად არ დამიდგამს არც „ჯარისკაცის მამა“ და არც „ღიმილის ბიჭები“. ეს რეალობა იყო, ქართველები ამ ომში ტირილით, მაგრამ სიცილითაც მიდიოდნენ. მე მახსოვს, როგორ დაიღუპნენ ჩემი მეგობრები ამ ომში. ლევან ჩხიკვაძე, ჩემი უახლოესი მეგობარი, რომელიც ჩემზე უფროსი იყო და ჯარში გაიწვიეს. მან მონაწილეობა მიიღო კურსკის ბრძოლებში, იმ ბრძოლებში 6000 ტანკი მონაწილეობდა, ერთ-ერთში ლევან ჩხიკვაძე იჯდა. ტანკს ცეცხლი მოეკიდა და ვერ მოასწრო ამოსვლა. მე არ მინდა მისი ხსოვნა შევურაცხყო და ვუთხრა, რომ შენ ტყუილად დადე შენი სიცოცხლე იმ ომში, რომელმაც საქართველოს არაფერი მოუტანა.

**— ამ ომში გამარჯვება სტალინმა მოიპოვა, რომლის დამსახურებაც ასევე კომუნიზმის ისტორიას ჩავაბარეთ..**

— ძალიან საინტერესო იქნება, თუ სტალინის ფიგურას შევისწავლით ისე, როგორიც სინამდვილეში იყო. იმ არეულ ეპოქაში, რომლის დამკვიდრებაში ლენინთან ერთად თვითონაც მონაწილეობდა, ის ქრისტიანობის დამკვიდრებისთვის მებრძოლი იყო. მან კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ქართველისთვის ქრისტიანობა, ძალინ მორწმუნე და საქართველოს ბედზე დაფიქრებული ადამიანი იყო. ვიცი, შემედავებიან და მეტყვიან, რა მოუტანა მან საქართველოსო? არის ამაში პრინციპული შეხედულების საკითხი. მაგრამ, მე ვიტყოდი, რომ ის თავის სიკეთეზე კი არ ზრუნავდა, არამედ საკუთარი შეხედულებების გამო ეწამა და მარტოდმარტო დაიღუპა და დარჩა ისტორიაში აღარც იქით, აღარც აქეთ. მიმაჩნია, რომ ისტორიაში მისი სახელი და მოღვაწეობა, დღემდე სწორად არ შეფასებულა.



ჩემზე ამბობენ, რომ მე ახლა მოსკოვში ვიმყოფები იმიტომ, რომ სტალინზე ვიღებ სურათს. ეს სწორი არ არის, მართალია, მე ამ ადამიანს და მის გენიალობას ძალიან ვაფასებ და პატივს ვცემ, მაგრამ ახლა ფირზე გადამაქვს ჩემი ფილმი, „მაცხოვრის საფლავზე დანთებული სანთელი“ და ამით ვარ დაკავებული. ამ ფილმთან დაკავშირებით, მინდა ერთი ფაქტიც ავღნიშნო: ფილმისთვის, როდესაც ფინანსები გვაკლდებოდა, მოსკოვში, ქართულ ეკლესიაში საქართველოს პრეზიდენტი მოვიდა. მე ვუთხარი მას ჩვენი გასაჭირის შესახებ და საქართველოში ჩემი დაბრუნების შემდეგ, ერთ კვირაში თანხა გადმომირიცხეს.

ძალიან მინდა, ჩემი შემდგომი ნამუშევარი მიეძღვნას ისეთ დიდ ქართველს, როგორიც ექვთიმე თაყაიშვილი იყო. ასეთი პატრიოტი ძნელად თუ მოიძებნება, მისი ცხოვრება წმინდანის ცხოვრებაა. ის შიშველ-ტიტველი და მშიერი დადიოდა საფრანგეთში, მეუღლეც სიღარიბეში გარდაეცვალა, მაგრამ ქართული საგანძურისთვის არაფერი დაუკლია, რომელიც მან 1921 წელს საქართველოდან წამოიღო. კაცი შიმშილით კვდებოდა და საფრანგეთში მცხოვრები ქართველ თავადთა საოჯახო რელიკვიებიც კი უკან დააბრუნა. როგორ მიიღეს საქართველოში ეს ადამიანი, როგორ უკრძალავდა მთავრობა და ორგანოები, რომ მის დასაფლავებას ვინმე დასწრებოდა. დიდი ქართველი პატრიოტის ბედი, მინდა ჩემს ფილმად გადავაქციო და ამაზე დიდი ხანია ნაფიქრი მაქვს, ჩემი მეგობრები თბილისში სცენარზე მუშაობენ. მინდა ქართულ საზოგადოებას მივმართო: ნუ აყვებიან ჭორებს, რომელიც დროდადრო ჩვენ პრესაში იბეჭდება.




შარშან შვიდი თვე მოსკოვში გავატარე საავადმყოფოში,. ჯერ ფეხი მოვიტეხე, მერე გულის ოპერაცია გავიკეთე, ამას ფილტვებიც დაემატა და თბილისში გავრცელდა ხმები, რომ მე ემიგრაციაში წავედი. რა სისულელეა! სულ რომ სისხლად გარდავიქცე, საქართველოს როგორ მოვშირდები! მინდა გითხრათ, რომ იმ საავადმყოფოების ადმინისტრაციაში რეკავდნენ და ამოწმებდნენ, ნამდვილად ვიწექი თუ არა, ისიც ვიცი, რამდენიმე ადამიანი მოჩენილი იყო, რომლებიც მირეკავდნენ, როგორც მეგობრები და გებულობდნენ სად ვიყავი და როგორ ვიყავი. მოდი, ნურავინ ნუ შემეჯიბრება მე საქართველოს სიყვარულსა და პატრიოტობაში, ასეთ ოჯახში გავიზარდე და ასე ვიქნები, სანამ იმ ქვეყნად არ წამასვენებენ.

**— მეორე მსოფლიო ომზე ვსაუბრობთ და არ შეიძლება თქვენს ფილმებს „ჯარისკაცის მამას“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის სიმბოლოდ იქცა და „ღიმილის ბიჭებს“ არ შევეხოთ..**

— მინდა გავიხსენო ქართული კინოს წინამძღოლი, ვასილ ამაშუკელი, რომელმაც პირველად ფირზე აღბეჭდა უამრავი სიუჟეტი, მათ შორის აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ამის შემდეგ განვითარდა ქართული კინემატოგრაფია წუწუნავა, შენგელაია, ჭიაურელი, კალატოზიშვილი, რონდელი, დოლიძე, ესაკია, მათ შექმეს ქართული კინემატოგრაფიის საფუძველი. როდესაც თენგიზ აბულაძე და მე თბილისში ჩამოვედით, როგორც კინორეჟისორები კონოსტუდია „ქართულ ფილმში“, ბევრი იყო, ვინც განათლება მოსკოვში მიიღო, ჩვენ პირველი ნაბიჯები გადავდგით და „მაგდანას ლურჯა“ გადავიღეთ, 50-იან წლებში განხორციელებული გარკვეული ცვლილებების შემდეგ, როდესაც თითქოს ისე ველარ გვზღუდავდნენ, შევძელით ქართველი კაცის სულიერება გამოგვეტანა. ასეთმა გზებმა მიგვიყვანა „ჯარისკაცის მამამდე“.

ყოველი სურათის ფასი არის იმაში, თუ როგორ განზოგადდება ესა თუ ის ფილმი, რა იდეურ მიზანდასახულობას და ერის სულიერ გამოხატულებას მიიტანს ის მაყურებლამდე. ასეთი არის ქართველი მევენახის გიორგი მახარაშვილის სახე, რომელიც სერგო ზაქარიაძის ხელში გადაიქცა არა მარტო მებრძოლად, არამედ ფილოსოფიურ ნატურად. შეხედეთ, როგორ ესაუბრება ის უფროს სერჟანტს: შენ მე ნუ მასწავლი ომს – „მოი დედ ვაევალ, ეგო დედ ვავევალ, ეგო, ეგო დედ ვაევალ ტოჟე“ – ქართველ კაცს ნუ მასწავლი ომსო. ცალკე თემაა, როგორ მოხვდა ის ეკრანზე და რა გზები გაიარა ამ ფილმმა. სამხედრო გენერალ ევტიშევის დამსახურებაა, რომელიც საბჭოთა არმიის სამხედრო პოლიტიკურ სამმართველოს ხელმძღვანელობდა, ამ ფილმის ეკრანზე გამოჩენა. ,მის გარდა დარბაზში, ფილმის სანახავად, კიდევ 40-მდე გენერალი იჯდა, რომლებიც ტაშით შეხვდნენ ფილმს. შემდეგ ნახა სამხედრო მინისტრმა მალინოვსკიმ, შემდეგ – ბრეჟნევმა. მათ გაუგეს მამას, რომელიც ამ შემთხვევაში ამ იდეის პატრონია, ადამიანია, რომელიც თავის სამშობლოს და ერის სახელით ამბობს, რომ ის ჰუმანიზმის მომხრეა. ვენახის და ტანკის სცენა რაც არის, ხვდებით. ვენახი ეს საქართველოა, სინათლის და მზის მუდმივი კატეგორიაა, რამხელა სიმაღლეზეა ქართველი კაცი ასული, მეომარი, რომელმაც ვენახები მიატოვა, ბრძოლაშიც ვენახს იცავს. კიდევ ერთი პატარა სცენაა იქ, როდესაც გიორგი მახარაშვილი საბარგო მანქანაზე ზის ჩაფიქრებული და რუსი სერჟანტი, რომ ეკითხება – რატომ ხარ ასეთი ჩაფიქრებულიო, რას პასუხობს სერგო ზაქარიაძე – ჩემი შვილი კეთილი და ჭკვიანი ბიჭი იყო და ვაითუ, ამ ომში გაზოროტდაო. მისი მთელი მოღვაწეობა ჰუმანიზმისთვის ბრძოლაა. სწორედ მახარაშვილმა გაიტანა დიდ ეკრანზე ქართველი კაცის ფილოსოფია, შემწყნარებლობა და ვენახი, რომელიც საქართველოს სიმბოლოა.

გახსოვთ, „ღიმილის ბიჭებში“ ბოლოკა კედელზე რომ აწერს თავისი მეგობრების სახელებს? ეს ფილმიც მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ჩემი მეგობრების ხსოვნას და არდავიწყებას მივუძღვენი.

ქართველები ცოტა ვართ, მაგრამ კაცობრიობის დიდი ფილოსოფიით ვართ დამუხტულები.

ფაშიზმის ფილოსოფია შავბნელი და სხვა ერების განადგურების ფილოსოფია იყო. ქართველი ერი კი წინ აღუდგა მას. ფაშიზმის წინააღმდეგ მთელი ევროპა და ამერიკა იბრძოდა. ევროპამ, რომელმაც ფაშიზმზე გამარჯვება იზეიმა, საბჭოთა კავშირის გამარჯვებას ზეიმობდა? მე ისიც მიკვირს, 2008 წლის აგვისტოში, ქართველმა მეომრებმა და ბიჭებმა თავი რომ გაწირეს, კინოშიც და პოეზიაშიც აუსახავი დარჩა. კიდევ თუ დასჭირდა საქართველოს, ქართველი მეომრები ისევ იბრძოლებენ და ყველას დაანახებენ ამაღლებულ ქართულ სულს.

ძმებო, ქართველებო, სხვას ნუ გადავცემთ იმ გამარჯვების დროშას, რომელიც ჩვენ ავწიეთ და დიდი წვლილი შევიტანეთ ფაშიზმის დამარცხებაში. მაშინ ქართველმა კაცმა თავის შესაძლებლობაზე მეტი მსხვერპლიც გაიღო. დაე, ეს ჩვენი ზეიმი, ქართველი კაცის ზეიმი იყოს, რათა მომავალი მებრძოლი საქართველო ისევ ვადიდოთ.

**ესაუბრა**
**ეკა ბუჩუკური**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ბრიფინგი

# ღამე თბილისის ქუჩებში კომენდანტის საათი მოქმედებს?!

## საკონსტიტუციო სასამართლოში ახალი სარჩელი შევიდა

**ღამე თბილისში არც ისეთი მშვიდი და უსაფრთხოა, როგორც ბევრს წარმოუდგენია. ქალაქში ყაჩაღები, გარეწრები და ქურდები ასე აშკარად არ დაძრწიან, მაგრამ სამაგიეროდ, წესრიგის დამცველთა „კლანჭები“ შესაძლოა, არანაკლებ მტკივნეული აღმოჩნდეს მოქალაქისათვის. საქმე ისაა, რომ პოლიციელს სრული უფლება აქვს, გააჩეროს პირი, რომელიც თვალში არ მოუვა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ამოუქექოს ჯიბეები, გაუჩხრიკოს ჩანთა და ა.შ. ეს დამოკიდებულება უკვე გახდა უკმაყოფილების საგანი... მოქალაქეები გულწრფელად ჩივიან.**

გასული წლის აგვისტოში საქართველოს პარლამენტმა „პოლიციის შესახებ“ კანონს 91-ე მუხლი დაამატა. აღნიშნული ნორმა პოლიციის თანამშრომელს უფლებას ანიჭებს, დანაშაულის ჩადენის თაობაზე გონივრული ეჭვის საფუძველზე გააჩეროს ადამიანი, ჩაუტაროს მას ზედაპირული შემოწმება, თუ პოლიციის უსაფრთხოების დაკავშირებით წარმოიშობა გონივრული ეჭვი.

კანონი ძალაში შესვლისთანავე გაასაჩივრეს „თავისუფალმა დემოკრატებმა“. გუშინ კი კანონის არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სარჩელი შეიტანა დავით შუბლაძემ, რომელსაც სარჩელის მომზადებაში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაეხმარა.

გუშინ ამ თემაზე საგანგებო ბრიფინგი გაიმართა საია-ს ოფისში. სადაც ოფიციალური განცხადება გააკეთა ასოციაციის თავმჯდომარე **თამარ ჩუგოშვილმა**. „პოლიციის შესახებ“ კანონში აღნიშნული დამატების შეტანასთან დაკავშირებით საიამ პარლამენტს შენიშვნები ადრე გადაუგზავნა. „წარმოდგენილი ცვლილებებით ზედაპირული შემოწმება არ



არის ადამიანის შეჩერების თანამდევი აუცილებელი შედეგი, – აღნიშნა თამარ ჩუგოშვილმა, – კანონში არ ჩანს, თუ რას ნიშნავს გონივრული ეჭვი. რითი განსხვავდება ის დასაბუთებული ვარაუდისგან, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ადამიანის დაკავების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. პოლიციელს არ ევალება განუმარტოს პირს, თუ კონკრეტულად რომელი დანაშაულის ჩადენის გამო მოხდა მისი შეჩერება. კანონიდან არც ის ჩანს, როგორ ტარდება ზედაპირული შემოწმება და რით განსხვავდება ის ჩხრეკისაგან, რომელსაც განსაკუთრებული დაცვის გარანტიები მოჰყვება. რაც მთავარია, შეჩერებისა და ზედაპირული შემოწმების დოკუმენტირება არ ხდება, ანუ არ დგება არანაირი ოფიციალური მოწმობა იმისა, რომ ზედაპირული შემოწმება მოხდა. ამის გამო შეუძლებელია სასამართლოში პოლიციის მიერ ჩადენილი უკანონო და დაუსაბუთებელი ქმედებების მტკიცების შესაძლებლობა“.

ბრიფინგზე **დავით შუბლაძეც** იმყოფებოდა. 22 წლის ყმაწვილი ყვება, რომ 4 აპრილს, დაახლოებით ღამის 12 საათზე მეგობრის სახლიდან ბრუნდებოდა, როცა მეცნიერებათა აკადემიასთან პოლიციელებმა გააჩერეს. გაუჩხრიკეს ჯიბეები, შეუმოწმეს საფულე და კიდევ სხვა ნივთები, შემდეგ გაათავისუფლეს. **„ეს არ იყო პირველი შემთხვევა, – აღნიშნა მან, – ალბათ, მერვედ გამაჩერეს. არასამთავრობო ორგანიზაციაში ვმუშაობ, ხშირად მიწევს ღამე სიარული. ერთხელ „ლეპტოპის“ პასპორტიც მომთხოვეს. პოლიციელები თითქოს აგრესიულ დამოკიდებულებას არ ავლენენ, მაგრამ როგორც მოქალაქეს, ეს პროცესი არ მსიამოვნებს. ბოლოს და ბოლოს, კომენდანტის საათია თუ რა, ღამე სიარულს რომ მიკრძალავენ?!“** საიას თავმჯდომარე ამბობს, რომ პოლიციის ქმედების სასამართლოში გასაჩივრება ყოველგვარ აზრს არის მოკლებული, ვინაიდან პოლიციელს არ დაუსახელებია თავისი ვინაობა. არც ის არის ცნობილი, რომელი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელის წინააღმდეგ უნდა იყოს სარჩელი შეტანილი.

სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს, რომ საქმე საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანონ, რადგან „პოლიციის შესახებ“ კანონის 91-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციის მე-18 და მე-20 მუხლებთან, რომლითაც გარანტირებულია თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები.

თამარ ჩუგოშვილის თქმით, საია თავად ზედაპირული შემოწმების ინსტიტუტს არ ეწინააღმდეგება, მაგრამ მათთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ მას სათანადო განმარტებები არ ახლავს. ასეთი ინსტიტუტი აშშში 60-იან წლებიდან მოქმედებს, მაგრამ კანონი შეიცავს დაცვის სათანადო გარანტიებს, დადგენილია კონკრეტული სტანდარტები და თავის მოქმედებაში პოლიციელი აბსოლუტურად თავისუფალი არაა.

**თეა მოსია.**

**P.S. საიას უწინდელი განცხადება პარლამენტმა უპასუხოდ დატოვა. სავარაუდოდ, იმავე გადაწყვეტილებას მიიღებს საკონსტიტუციო სასამართლო და 150 დეპუტატის მოწონებულ იდეას არ უგულებელყოფს. მით უფრო, რომ ჩვენი ხელისუფლება თავს იწონებს სტაბილური ქვეყნის იმიჯით, რომელიც სწორედ პოლიციელთა უსაზღვრო თავისუფლების მხრებზე დგას... რამდენიმე უდანაშაულო მსხვერპლი, აბა რა მოსატანია (!)**

**თ.მ.**

ვანდალიზმი ქუთაისში

# ხეივნის ტრაგიკული აღსასრული

***ბოლო ორი წლის მანძილზე როგორც სულიერად, ისე მატერიალურად იმდენი რამ გვაზარალა არასწორად მართულმა ადგილობრივმა თვითმმართველობამ, რომ ძალაუნებურად შეგვახსენა „მეორე რჯულის“ სულისშემძვრელი სიტყვები: „წყეულ იყავნ, რომელმან აცდურის ბრმაჲ გზასა და ჰრქუა ყოველმან ერმან, იყავნ!“***

***რატომ?***

***ამჯერად ამის მიზეზი ნამდვილად არ არის 7 მაისის ის ტრადიციული წვიმა, რომელსაც საოცარი მგზნებარებით უმღეროდა ამავე წვიმით მთვრალი პოეტი.***

***უფრო პირიქითაა, რამეთუ წმიდა გიორგის თავის კვეთის მომდევნო ორ უქმე დღეს – 7 და 8 მაისს მავანთა უმსგავსმა საქციელმა ქუთაისს საქვეყნოდ მოჭრა თავი და საზარელი დანაშაული დაატრიალა: პირწმინდად ამოძირკვა და გაანადგურა რამდენიმე ასეული უძვირფასესი ჯიშის ხე, რომლებიც 16 წლის წინათ ცოცხალი კლასიკოსის – ოტია იოსელიანის უშუალო ხელმძღვანელობითა და მოსახლეობის დიდი ძალისხმევით მომხიბლავ ხეივნად გაშენდა დავით აღმაშენებლის გამზირზე.***

**აქაურები** და არა მარტო ისინი – მთელი ქალაქი შეძრა ამ უბედურებამ. ბევრი შინ ეწვია ბატონ ოტიას, სხვები ჟურნალისტებსაც გვევედრებოდნენ: გვიშველეთ, როგორმე გადაგვირჩინეთ ხეივანიო.

ვერაფერი ვუშველეთ, რადგან ამ სამარცხვინო საქმისათვის შემთხვევით არ შეურჩევიათ უქმე დღეები და ავი ტაროსი.

* * *

**პირველ** დღეს აოხრებული ხეივნიდან საგანგებოდ მობილიზებულ სატვირთო მანქანებს უწყალოდ დაჩეხილ-დახერხილი გაჰქონდათ ხეები. მეორე დღეს – 8 მაისს კი, როცა მავანი მიხვდა, რომ ძალზე შორს შეტოპა და ამდენი ხის ამოძირკვას არც მას და არც მის ამფსონებს არავინ აპატიებდა, დაზიანებულ, მაგრამ ძირიანად ამოთხრილ ხეებს ეზიდებოდა, აქაოდა, სხვაგან ჩავრგავთ და გავახარებთო. „ბუნტით“ შეშინებულები ნახაზებითაც მოვიდნენ აოხრებულ ხეივანში და მოსახლეობას დაპირდნენ, ამოძირკვულის ნაცვლად აქ პალმებს გავაშენებთო. თუმცა ამ უთავბოლოდ წამოწყებულ და სრულ საინფორმაციო წყვდიადში მყოფ ტრაგედიას უკან მიდევნებულმა სანთელმა გზა ვეღარც ამჯერად გაუნათა. აღშფოთებული და სულით-ხორცამდე შეძრული მოსახლეობა უზომოდ დაგვიანებული განმარტების შემდეგაც ვერაფრით მიხვდა, რით ჯობია ქუთაისისთვის არცთუ მთლად შეგუებული და ზამთრობით საგულდაგულოდ შესაფუთი პალმა ჩვილივით ნალოლიავებ ენდემური ჯიშის ხეებს და მის გასანადგურებლად, ქალაქის მწირი ბიუჯეტიდან რატომ დაიხარჯა საკმაოდ სოლიდური თანხა, თანაც უქმე დღეებსა და არასამუშაო საათებში – იმ დროს, როცა დამკვეთი ვალდებულია, მუშა-მოსამსახურეს ჩვეულებრივთან შედარებით გაცილებით მეტი გადაუხადოს?

* * *

**რა** ეჩქარებოდათ? რაღა მაინცდამაინც თავსხმა წვიმასა და თქეშში გაანადგურეს ეს ულამაზესი ხეივანი?

ამ კითხვებზე პასუხი შეიძლება მიგვაგნებინოს არცთუ უცნობმა სხვა შემთხვევამ და იმ განაჩენმა, რომელიც 2010 წლის 18 თებერვალს გამოიტანა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განსასჯელების – ავთანდილ დარსაველიძის, ელგუჯა გაბადაძისა და თენგიზ დარახველიძის მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიერ სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო ტრაგიკულად დაიღუპნენ ეკა ცუცხაშვილი და მისი 8 წლის ქალიშვილი ნინო ჯინჭარაძე.

სხვათა შორის ზემოთ ხსენებულმა განსასჯელებმა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ხაზგასმით განაცხადეს, რომ 2009 წლის ბოლოდან 19 დეკემბრის ჩათვლით ვხვდებოდით როგორც გუბერნატორს, ისე სხვა პასუხისმგებელ პირებს და ისინი გვავალებდნენ, „დიდების მემორიალის“ დემონტაჟი უმოკლეს ვადაში, კერძოდ 2009 წლის 21 დეკემბერს დაგვემთავრებინაო.

გავიხსენოთ რას უკავშირდება ეს თარიღი, რათა ბოლომდე გავისიგრძეგანოთ მავანთა მლიქვნელობისა და მემორიალის ამფეთქებელთა სიბრმავის სავალალო შედეგი, რისთვისაც „საქფეთქმრეწვის“ ყოფილ ტექნიკურ დირექტორს ავთანდილ დარსაველიძეს 4 წლით, ამავე დაწესებულების ქუთაისის მობილური უბნის უფროსს ელგუჯა გაბადაძეს 3 წლითა და 6 თვით, ხოლო აფეთქებაზე პასუხისმგებელ პირს თენგიზ დარახველიძეს 2 წლით აღეკვეთა თავისუფლება. ხელმძღვანელებიდან კი, ვინც მათ აფეთქების დაჩქარებას აიძულებდა, მხოლოდ ერთადერთი – იმდროინდელი გუბერნატორი გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

* * *

**აქ** ერთი წიაღსვლა შემდგომი განსჯისათვის.

ორიოდე თვით ადრე, ვიდრე იმ აშკარად უაზრო აფეთქებას დედა-შვილი შეეწირებოდა, საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდიუმს ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა თხოვნით მიმართეს, რომ იმერეთის ზემოხსენებული ახალგაზრდა გუბერნატორისათვის ქუთაისის საპატიო მოქალაქის წოდების მოსაპოვებლად რეკომენდაცია მიეცა. ამაზე სხვასთან ერთად მე, როგორც ამ საზოგადოების პრეზიდიუმის ერთ-ერთმა წევრმა, დასაბუთებული უარი განვაცხადე. ეს პოზიცია კიდევ უფრო განმიმტკიცდა ტრაგიკული აფეთქების წინა დღეს, როცა საზოგადოების დარბაზში სტუმრად მყოფმა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობამ უარი თქვა ჩვენს თხოვნაზე, შეეჩერებინა „დიდების მემორიალის“ დემონტაჟი. ამ მიმართვიდან თავის არიდების მეორე დღეს კი უკვე შემზარავი შედეგი მოჰყვა – დედა-შვილის დაღუპვასთან ერთად შეურაცხყვეს მეორე მსოფლიო ომიდან შინ დაბრუნებელი ასიათასობით თანამემამულის ხსოვნა და სერიოზულად დააზიანეს ავტოქარხნის ახალი სასაფლაო, განსაკუთრებით კი უდროოდ დაღუპული უნიჭიერესი ახალგაზრდა სპორტსმენის სერგო ქათამაძის საფლავის ქვა.

სამწუხაროდ, მათ აღდგენაზე ხელისუფლებას არა თუ არ უზრუნვია, ეს ფაქტი არც კი გაუმხელია. აღარაფერს ვამბობთ უაზროდ გადაყრილ იმ 91 ათას 708 ლარზე, რომელიც ქალაქ ქუთაისის მერიამ „საქმილსადენმშენსა“ და „საქფეთქმრეწვს“ „დიდების მემორიალის“ ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოებისათვის გადაუხადა.

* * *

**შემთხვევით** არ გვიხსენებია ის ტრაგედია.

ორი წლის შემდეგაც ვერ გამოდგა წინა კაცი უკანასათვის ხიდი, თუმცა ამჯერად ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ, დღეს იქნება თუ ხვალ, ძირისძირამდე გაირკვევა არა მარტო ის,



თუ სულიერად და მატერიალურად რა აზარალეს ქუთაისსს, მის ულამაზეს ბუნებასა და ქალაქის მწირ ბიუჯეტს დავით აღმაშენებლის გამზირიდან ხეივნის ამომძირკველებმა.

მართალია, სამართალი ურმით დადის, მაგრამ ამჯერად არა მგონია, ამ ურმის გადაბრუნებისათვის პასუხი მხოლოდ იმას მოეთხოვოს, ვისაც ტოტალური უმუშევრობის დროს ლუკმაპურის დაკარგვისა ეშინია და იძულებულია უქმე დღეებში ხელი გაისვაროს – ულვთო საქმე აკეთოს.

დიახ, არა მგონია, რადგან ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ვინც შეუბრალებლად აჩეხილი ხეივანი და მის ამოსაძირკვად შესეული ტექნიკა ნახა, კეთილს ვერასდროს უსურვებს ბრმებისათვის გზა-კვალის ამრევს.

**ალექსანდრე შენგელია,**
**„ს.რ.“ სპეც. კორ. ქუთაისი.**

**P, S. სხვათა შორის ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირის შენობა-ნაგებობათა ფირნიშებზე მისამართად წარწერილია „დ. აღმაშენებლის გამზირი“.**

**ეს ისეთივე თვალშისაცემი უვიცობაა, როგორც ამ ხეივანში ენდემური ჯიშის ნარგაობის ნაცვლად პალმის დარგვის მცდელობა, რადგან აღმაშენებლის წინ სახელის შემოკლება ისევე დაუშვებელია, როგორც წერტილი მოკლე – პიპინმოკლეს ნაცვლად.**

**ა. შ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ერიჰაა!

# აფერული ტენდერი, ანუ ბულდოზერული სოციოლოგია

27 მაისს თბილისის მერიამ კვლევითი სამუშაოების შესრულებაზე ტენდერი გამოაცხადა. შემსყიდველ ორგანიზაციას დედაქალაქში არსებული პრობლემების დასადგენად და ცალკეული მუნიციპალური სამსახურების საქმიანობის შესახებ თბილისის მოსახლეობის აზრი აინტერესებდა. სატენდერო განცხადებაში დასახელებული იყო 5 ფოკუს-ჯგუფი და 10 რაოდენობრივი კვლევა, რომელიც ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციას სატელეფონო გამოკითხვის მეშვეობით უნდა ჩაეტარებინა. ელექტრონული ტენდერის პროცედურა, რომელიც სავალდებულოა სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის, გულისხმობს ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვას შესაბამის საიტზე და ტექნიკური ფორმალობების შესრულების შემდეგ გამარჯვებულის გამოვლენას მხოლოდ ერთი კრიტერიუმის გათვალისწინებით - მომსახურების ღირებულებით. ამგვარად, ტენდერი არსებითად, აუქციონი გახლდათ. სხვა კრიტერიუმებს, როგორიცაა პროფილური ან მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება, ტენდერის პროცედურა არ ითვალისწინებდა. ტენდერში მონაწილეობა წინასწარვე გულისხმობდა გარკვეულ სიურპრიზებს, მაგრამ იმან, რაც ტენდერის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე მოხდა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

სანამ ამ ფრიად საინტერესო შემთხვევას გიამბობდეთ, გეტყვით, რომ სატენდერო სამუშაოს ღირებულება შეადგენდა 60 000 ლარს, რაც სავსებით საკმარისი იყო მსგავსი სამუშაოების ჩასატარებლად. მაშასადამე, ადრენალინურ ექსტაზში (მინდა, აღვნიშნო, რომ ტენდერი და მით უფრო აუქციონი აზარტული რამ გახლავთძ ველოდებოდი გამარჯვებულის გამოვლენას. ჩვენ – მე და ჩემს კომპანიონს - გვეგონა, რომ წინასწარ შემუშავებული, ცბიერი და მზაკვრული ტაქტიკის მეშვეობით ჩვენს პოტენციურ მოწინააღმდეგეს პირველადი ფასის დაფიქსირებას ვაიძულებდით, შემდეგ „დავაგდებდით“ ფასს და, ტენდერის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამით მოვიპოვებდით მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობას, მაგრამ როგორც ჩემი ბავშვობისდროინდელი „გოიმი“ ბიჭები იტყოდნენ ხოლმე, გვეგონა – გრამოფონშია!

5.30 წუთზე, ტენდერის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე გამოჩნდა პირველი და, როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, ერთადერთი, განუმეორებელი და ექსკლუზიური პრეტენდენტი. სატენდერო პროცედურის სპეციფიკა საშუალებას არ გაძლევს, იხილო შენი მეტოქე. ჩვენც სანატრელი ორთაბრძოლის მოლოდინში დავაფიქსირეთ პრეტენდენტის ფასი, რომელიც მხოლოდ სამასი ლარით ჩამორჩებოდა სატენდერო განცხადებაში მითითებულ 60 000 ლარს. დავიწყეთ ჩვენი დოკუმენტაციის ატვირთვის პროცედურა, რაც, როგორც ჩანს, ჩვენს კონკურენტს შეუმჩნეველი არ დარჩენია: როდესაც ტენდერის პირველი ტურის დამთავრებამდე ორი წუთი რჩებოდა, ჩვენმა უხილავმა პრეტენდეტმა კიდევ ერთი შემოთავაზება დააფიქსირა, რამაც მსუბუქი ტრანსის მდგომარეობაში ჩაგვაგდო. ფასი ორჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ტენდერში გამოცხადებული ლოტის ღირებულება. ჩვენი წინასწარი გათვლებით, ეს თანხა კვლევის თვითღირებულებასაც კი ვერ ფარავდა. ამიტომ ბევრი აღარ გვიფიქრია, ერთსულოვნად შევწყვიტეთ ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის პროცედურა და უარი ვთქვით ტენდერში მონაწილეობაზე.

ბუნებრივია, გამარჯვებულის ვინაობით დავინტერესდით. ისიც გვაინტერესებდა, რა მეთოდიკისა და ინსტრუმენტების გამოყენებას აპირებდა ჩვენი კონკურენტი და ისე როგორ ჩამოვრჩით ამ დარგში არსებული ტექნოლოგიების განვითარებას, რომ ვერ გავარკვიეთ, გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ მითითებული თანხით როგორ იყო შესაძლებელი არამც თუ მოგება, არამედ კვლევითი სამუშაოების ჩატარებაც კი. და აი, დადგა ჟამი ჭეშმარიტებისა: ტენდერის ფორმალური მხარის დასრულების შემდეგ უკონკურენტო ბრძოლაში გამარჯვებულად გამოცხადდა.... „შ.პ.ს.....რა წერია? რა წერია? შ.პ.ს ... .რა წერია? - ვერ გავიგე!“ - ისმოდა ჩვენი თანამშრომლების განწირული ხმა. შ.პ.ს „აჟური“!

თუ ვიტყვი, რომ სულ რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში მეორე შოკიც მივიღე, იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არაფერი მითქვამს. ბუნებრივია, ვიცნობდი ყველა ძირითად და ირიბ კონკურენტს, მაგრამ „აჟური“?! - ამ მისტიკურმა სახელწოდებამ მარტივი ბგერითი ასოციაციების გამო ჩემში რაღაც დიონისურ-ბაკქანალიური განცდა შვა. ერთწუთიანი დუმილის შემდეგ ავკრიფე ზემოთ ხსენებული იდუმალი ორგანიზაციის ელექტრონული მისამართი და მივიღე მესამე, ყველაზე ულმობელი და სასტიკი დარტყმა, მსგავსი იმ შოკისა, რომლის გადატანაც „ალ-ქაიდას“ მებრძოლებს მოუხდათ ბინ ლადენის ამბის შეტყობისას. შ.პ.ს „აჟურის“ ოფიციალურ საიტზე, ყვითელ-ნარინჯისფერ პალიტრაში იშლებოდა შთამბეჭდავი პანო გიგანტური ბულდოზერით, ექსკავატორით, ყვითელჩაფხუტიანი მუშებით, გზების დაგების და შეკეთების უამრავი ფოტოთი... ჩამოეთვალათ უამრავი მოგებული ტენდერი, რომლებიც მხოლოდ გზის მშენებლობას უკავშირდებოდა. კვლევის მთავარი ინსტრუმენტების (ბულდოზერები, ექსკავატორები და ა.შძ გაცნობის შემდეგ ფატალური თვინიერებით განვაგრძე საიტზე გამოსახული ბედნიერი მუშების დათვალიერება. ჩემი შინაგანი მზერა აღწერდა მომავალ სურათს, რომელზეც ბულდოზერზე ამხედრებული ჩაფხუტიანი ინტერვიუერები გზას აგებენ და, როგორც ცივილიზაციის შემომტანი პილიგრიმები, იქვე, ახალდაგებულ გზაზე ბედნიერი მოსახლეობის ინტერვიუირებას „ახდენენ“. უეცრად გავიფიქრე, რომ ქართველები ძალზე ნიჭიერი ხალხი ვართ: გზის მშენებელს თანაბარი წარმატებით შეუძლია კვლევის ჩატარება, ფეხბურთელს - საფეხბურთო მატჩების შედეგის წინასწარმეტყველება და უზრუნველყოფა, ქალაქის მერს – პურის გამოცხობა, პრეზიდენტს კი .... არსებობს რამე, რაც ჩვენს პრეზიდენტს არ შეუძლია?!

მოკლედ, ჩვენ ვცხოვრობთ უნივერსალიების ქვეყანაში და შენც მსგავსი უნივერსალიზმი მოგეთხოვება, ვინაიდან ამ ჭარბი ენერგიის და ნიჭიერების ფეიერვერკში კონკურენცია ულმობელია. დღეს გამოცხადდა ტენდერი ინფექციური სამედიცინო ნარჩენების მართვაზე. უკვე ვავსებ სატენდერო განაცხადს...

**ვალერიან გორგილაძე,**
სოციოლოგი

## ტრაგაკის კოეფიციენტი



# კილომეტრაჟით გაბუქებული...

**6 მაისს დაწესებული პოლიციის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი ბათუმში გაიმართა. აღლუმი ქვეყნის პრეზიდენტმა, შეთავსებით უმაღლესმა, რუსეთთან 8 აგვისტოს „მოგებული“ ომის მთავარსარდალმა მიიღო და ჩვეული იმპროვიზებული სიტყვაც წარმოსთქვა.**

რაღა მაინცდამაინც გიორგობაღლეს დაემთხვა ეს ზეიმობა, იყო თუ არა საპატრიარქოსთან შეთანხმებული — ცალკე საკითხია; მართალია, ჩვენებური წელიწადი ნაირ-ნარი უქმეთი თუ დღესასწაულით უხვადაა გაჯერებული, მაგრამ „საპოლიციოდ“ რომელიმე სხვა თარიღი ვერ გამოინახებოდა?..



გაგიხარიათ, ჩვენი ჩაუქი წინამძღოლის იმპროვიზებული გამოსვლებითა და, შესაბამისად, მოულოდნელი პასაჟებით განებივრებულნი ვართ, ოღონდ იმდღევანდელ ბათუმურ სიტყვაში გადმოფრქვეული „მარგალიტებით“, მგონი, თავის თავსაც გადააჭარბა: თურმე საქართველოს (ამჟამინდელს!ძ შენატრიან ამდენი წარმატების საიდუმლოს შესასწავლად და გასაზიარებლად. გაჭიმულ რიგში დგანან თურმე სხვადასხვა საერთაშორისო საქებ სიაში პირველ ნომრად გავდივართ, თურმე ადრე თავმოსაწონი არა გვქონდა-რა და ახალი, მიშური წელთაღრიცხვა 2004 წლიდან უნდა დავიწყოთ...

ყველაზე მეტად მე პირადად, პირველი პირის ენა-პირით წარმოთქმული ამ განცხადებით „დავიშოკე“: ჩემს გაპრეზიდენტებამდე ბათუმის ბულვარის სიგრძე ერთი კილომეტრი და რაღაც რაოდენობით მეტრი იყო, ახლა რვა კილომეტრი და რაღაც რაოდენობის მეტრიაო; მოკლედ, პრეზიდენტობის ყოველ წელიწადს ბათუმის ბულვარი თითო კილომეტრით დაგრძელებულა! ეგ კიდევ არაფერი, ამაზე გრძელიც გახდებაო (მოგეხსენებათ, მიხეილბატონი რა სიტყვის კაციაძ ვაითუ სულაც სტამბოლამდე გაიჭიმოს ეგ ბულვარი და მერე ნახეთ აჭარის დედაქალაქში თურქთა მომრავლება, თუ ბათუმის „ველარცნობა“...ძ გასაბუქად, წარმატებულობის საბუთად ბათუმის ბულვარის დაგრძელების მოტანა რაღა უბედურებაა! კი, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის გაპრეზიდენტებამდე რომ კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი დაუკარგავი იყო და იმისი პრეზიდენტობისას დაიკარგა; პროდუქტებზე, მგზავრობაზე, ბევრ სხვა რამეზე ფასები და ათასგვარი გადასახადი, მანამდე რომ ამხელა არ იყო და იმის ხელში დაგრძელდა, ბათუმის ბულვართან ერთად; მიწა-წყალი, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, შენობები და კვლავ ათასგვარი რამ მისი „გაპრეზიდენტების“ შემდეგ გაიყიდა, ეს როგორღაა, არ გაახსენდა?

თქვენი არ ვიცი და ისევ მე პირადად, კიდევ ერთი „მიშანდობლივი“ პასაჟით გავოგნდი: ჩვენი მამაცი პოლიციელები იმ შავად მოსაგონარ აგვისტოში, მტრის თვითმფრინავებიდან დაბომბვასა და ჭურვების ბათქაბუქთს ყურებამდე გაღიმებულნი ხვდებოდნენ თურმე და ლამის ანეკდოტებს ყვებოდნენ; ამის დამყურე რუსეთელი მფრინავები კი გულზე სკდებოდნენ... აფერუმ ჩვენთა წესრიგის მცველთა ვაჟკაცობას, თავდაჭერასა და ღიმილისთვის „პირდაჭერას“...

სხვაც არაერთი იყო მსოფლიოს „უდიდესი პოლიტიკოსის“ საექვსმაისო სიტყვაში, იმპრო-იმპრო-იმპრო (ენა დამებაძ ვიზებულში, ისეთი „საშოკო“ ადგილი, როცა ვერ გადამეწყვიტა, მეცინა თუ მეტირა; თუმცა აქ გავჩერდები, თორემ ბათუმის ბულვარის დაგრძელებისა არ იყოს, მეც ნამეტანი წავიგრძელე ენა...

პრეზიდენტს პირდაპირ ეთერში და, შესაბამისად, ერთმანეთს გაზეთის ფურცლებზე ბულვარის შემდგომ „კილომეტრაჟისთავზე“ შევხვდებით. ორშაბათიც გათენდება...

**ბერდია ბედოიძე.**

## ვენდოთ ვანო მერაბიშვილს?

# „მე ვიცი, რომ მალე ეს უბანიც გალამაზდება“

**სიტყვები, რომლებიც ჩვენი წერილის სათაურად ამოვიტანეთ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა შაბათს, 7 მაისს, წარმოთქვა თაბუკაშვილის ქუჩაზე ძველი თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ულამაზესი შენობის გახსნისას.**

ამ სიტყვებმა იმედი ჩაგვისახა თაბუკაშვილის ქუჩის და კონკრეტულად იმ ტერიტორიის მცხოვრებთ, სადაც სამმართველოს ახალი შენობა წამოიმართა.

იმედი ჩაგვისახა იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე (სამმართველოს შენობის მოპირდაპირედძ საუკუნოვან „ხარახურა“ საცხოვრებელ სახლებს, რომლებიც ერთიანად მთაწმინდიდან ჩამონადენ წყალზე დგანან (მერიისთვის ცნობილიაძ, ბოლოსდაბოლოს აილებენ (ზოგს გაარემონტებენძ ჩვენც გვეშველება და პოლიციის სამმართველოს შენობაც აღარ იქნება ჩამჯდარი „ხარახურაში“.

სხვა გამოსავალი არც არის. თაბუკაშვილის ქუჩა ხომ დედაქალაქის შუაგულია, რუსთაველის გამზირის პარალელურია და მისი ასე მიგდება (ამის სამაგალითოდ 32 ნომერში მდებარე უსახური ეზოც კმარაძ, სხვა თუ არაფერი, სამარცხვინოა თბილისის უამრავი სტუმრის თვალში, რომლებიც ძალაუნებურად ხშირად მიმოდიან ამ ქუჩაზე და ფოტოებსაც იღებენ.

ჰოდა, კვლავ იმედს ვებღაუჭებით აქაურები.

მართალია, არ გაკლია, მაგრამ შენს პირს კიდევ ერთი შაქარი, ძვირფასო ვანო!

**თაბუკაშვილის ქუჩის მცხოვრებნი**

## ინფორმაცია

### ამ ხელისუფლების პარპაშს კიწმარიშვილი მოუღებს ბოლოს?

— კახეთი იყო ჯერ ილია ჭავჭავაძის სამშობლო და ახლა ზურაბ ადეიშვილის სამშობლო გახდა, რომელიც მთელს რეგიონს მართავს.

— ამის შესახებ თელავის ცენტრში გამართულ აქცია ბრიფინგზე ქართული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, მათი მიზანია, რომ სააკაშვილის ხელისუფლების სახით ჭირი ქვეყანას ერთხელ და სამუდამოდ მოაშორონ და ამისთვის კახელებს გვერდით დგომისკენ მოუწოდა.

„თელავის შემდეგ ჩვენ ჩავალთ ადეიშვილის სამშობლოში, ყვარელში. იქ სადაც ჯერ ჭავჭავაძის სამშობლო იყო და ახლა უკვე ადეიშვილის გახდა, რომელიც ხალხს არ აძლევს ჩვენამდე მოსვლის საშუალებას და მთელ რეგიონს მართავს“, - განაცხადა კიწმარიშვილმა.

მისივე თქმით, სწორედ ქართული პარტია დაამთავრებს ამ ხელისუფლების პარპაშს.

ჯი-ეიჩ-ენი

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

პრობლემა

**ბოლო დროს მედია-სივრცეში უფრო და უფრო აქტიურად შუქდება პრობლემები ბავშვთა უფლებების დარღვევის შესახებ. განსაკუთრებით ეს ეხებათ ნაციონალურ არხებს, რომლებიც ამ სფეროში გამძაფრებით ეძებენ საკბილოს, თითქოს ქვეყანაში სხვა მნიშვნელოვანი სოციალური თემები არ იყოს, იმის გარდა, თუ როგორ ძალადობენ ბავშვებზე მოზრდილები. ბავშვთა უფლებების შელახვის თემა, თავისთავად აქტუალურია, თუმცა, როგორც ამ სფეროს ექსპერტები აღნიშნავენ, გაშუქებულ სიუჟეტებს უმეტეს შემთხვევაში, კიდევ უფრო მეტი პრობლემა მოაქვთ მოზარდებისთვის, ვიდრე მდგომარეობის შემსუბუქება, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჟურნალისტის არაპროფესიონალიზმის ბრალია.**



# „ქუჩის ბავშვები“ აზერბაიჯანიდან საქართველოში გადმოვიდნენ

## გაეროს რეკომენდაციებს ხელისუფლება არ ითვალისწინებს!

ასე თუ ისე, ფაქტია, რომ საქართველოს ადამიანის, კერძოდ, ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში პრობლემები აქვს. ჩვენი ქვეყანა სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებს არის მიერთებული, მათ შორის უმნიშვნელოვანესია გაეროს ბავშვთა ფონდთან ურთიერთობა. 2011 წლის 1 ივლისს საქართველოს ხელისუფლებამ გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-4 პერიოდული ანგარიში უნდა წარუდგინოს. ექვსი თვის შემდეგ კი ალტერნატიული ანგარიში უნდა გააგზავნონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველის ინსტიტუტმა. აღსანიშნავია, რომ წინა ანგარიში 2007 წელს გაიგზავნა და ერთ წელიწადში გაეროს კომიტეტმა სერიოზული შენიშვნები და რეკომენდაციები გამოუგზავნა საქართველოს. როგორც ამბობენ, ბევრი პრობლემა კვლავ გამოუსწორებელია, რაც იჩენს კიდეც თავს ალტერნატიულ ანგარიშში. ამ საკითხთან დაკავშირებით ომბუდსმენის აპარატმა არასამთავრობო ორგანიზაციებს „ქორთიარდ მარიოტში“ მოუყარა თავი და ყველა ის ასპექტი განიხილეს, რაც მორიგ ანგარიშში უნდა მოხვდეს.

სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრის ხელმძღვანელმა **ანა არგანაშვილმა** იმ შენიშვნებზე გაამახვილა ყურადღება, რაზეც გაერო წინა ანგარიშზე დაყრდნობით წერდა, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდგომარეობა იდენტური რჩება. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ **„კომიტეტი მიესალმება სახალხო დამცველის ოფისში ბავშვის უფლებათა ცენტრის შექმნას, მაგრამ სინანულით აღნიშნავს, რომ მას არა აქვს მანდატის მთელ ქვეყანაში განხორციელებისთვის ადეკვატური ადამიანური და ფინანსური რესურსები. კომიტეტი ასევე შეშფოთებას გამოთქვამს, რომ პარლამენტი დროულად არ ითვალისწინებს ბავშვის უფლებათა ცენტრის მოხსენებებსა და რეკომენდაციებს. (ნეტავ, მხოლოდ ამ სფეროში იყოს ასეთი დაუდევრობა (!) ბავშვის უფლებათა ცენტრს დაბრკოლებები ექმნება სახელმწიფო დაწესებულებაში მოთავსებულ ბავშვებთან შეღწევაში. კომიტეტი აღნიშნავს, რომ სრულყოფილ მონაცემთა შეგროვებაზე პასუხისმგებლობა სტატისტიკის დეპარტამენტს აკისრია, მაგრამ იგი არ ფლობს კლასიფიცირებულ მონაცემებსა და ანალიტიკურ ინფორმაციას. არ არსებობს პროცედურები ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დასადგენად, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ბავშვის შვილად აყვანის სფეროებში.**

**კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ბევრი ბავშვი მოთავსებულია საგანგებო დაწესებულებებში სათანადო მომსახურებისა და ოჯახებისთვის ფინანსური დახმარების ნაკლებობის გამო, ან სოციალური მომსახურების ალტერნატივებისა და ქმედითი დამცავი მექანიზმების არარსებობის გამო. ინტერნატში მოთავსებულ ბავშვთა უმეტესობა ობოლი არ არის. კომიტეტი წუხს იმის გამოც, რომ სოციალური მომსახურების სისტემა არ არის განვითარებული და რომ კვალიფიციური სოციალური მუშაკების რაოდენობა შეზღუდულია. შეხვედრაზეც ითქვა, რომ მშობლების უმეტესობა სოცმუშაკების არაპროფესიონალიზმს უჩივის.**

**კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს, გააგრძელოს მუშაობა სუბსიდიებზე დამყარებული ჯანდაცვის სისტემის დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს ჯანდაცვის უმაღლეს სტანდარტს ყველა ბავშვისთვის, გააააქტიუროს ღონისძიებები საკვები პროდუქტების უსაფრთხოებისა და ხარისხის შესახებ კანონის განსახორციელებლად (წარმოიდგინეთ, რომ გაეროც კი ევროკავშირთან ერთად, ამ პრობლემის უპირობო მოგვარებას ითხოვს, თუმცა უშედეგოდ (!)).**

**და ბოლოს, ზოგადი ეკონომიკური პროგრესის მიუხედავად, კომიტეტი კვლავ შეშფოთებულია ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული სიღარიბით, სიდუხჭირით და აღნიშნავს, რომ ბავშვების ცხოვრების დონე ძალზე დაბალია, რაც გაზომილია ისეთი ინდიკატორებით, როგორებიც არის საცხოვრებლის, წყლისა და სანიტარული პირობების მისაწვდომობა.**

როგორც ანა არგანაშვილმა აღნიშნა, სამწუხაროდ, ეს პრობლემები ანგარიშში ისევ და ისევ დარჩებიან.

**ამ** სფეროში მომუშავე არასამთავრობოებმა აღნიშნეს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებს, ობლებს, ბავშვთა სახლებში მოთავსებულებს, გაშვილებულებს და ა.შ. ასე თუ ისე სტატუსი აქვთ, მაგრამ ბავშვი ქუჩაში – ეს არის პრობლემა, რომელიც არ იციან, როგორ აღიარონ სახელმწიფო დონეზე. ესენი არიან რთული ბავშვები, რომლებიც არც ერთ კატეგორიას არ შეესაბამებიან. ქუჩაში მათხოვრობა საქართველოს კანონით არ ისჯება. თუმცა აზერბაიჯანის მთავრობას ამგვარი კანონი მიუღია კიდეც. ამიტომაც აზერბაიჯანიდან ბევრი ბავშვი ჩვენთან გადმოხვეწილა და ახლა აქ აგრძელებენ მათხოვრობას. არანაირი კონკრეტული მექანიზმი საქართველოს მთავრობას არ შეუმუშავებია, პრობლემაა ისიც კი, სად შეიძლება წაიყვანონ ქუჩაში აყვანილი ბავშვი, რომელსაც სხვადასხვა პრობლემა შეიძლება ჰქონდეს: ფსიქიკური თვალსაზრისით, ან იყოს კრიმინალი და ა.შ.

**ომბუდსმენმა აღნიშნა, რომ ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გაეროს რეკომენდაციებს. „ამით სახალხო დამცველის აპარატი ხშირად აპელირებს ხოლმე. ჩვენი და სახელმწიფოს ხედვა თითქოს ბავშვის უფლებების დაცვის თვალსაზრისით თეორიულ ნაწილში ერთიანია. მაგრამ ვინაიდან ხელისუფლება მექანიზმების შექმნასა და პრობლემების რეალურ გადაჭრაზე არ მუშაობს, სურათიც არადამაიმედებელია“, — დასძინა გიორგი ტუღუშმა.**

**ცნობისთვის: გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტთან ურთიერთობა კონვენციაზე ხელის მოწერისთანავე იწყება. კომიტეტში რვა პროფესიონალი ექსპერტი შედის, რომელიც წელიწადში სამჯერ იკრიბება ჟენევაში. სახელმწიფოები ანგარიშს ხუთ წელიწადში ერთხელ წარადგენენ. იქ მოყვანილ თითოეულ ფაქტს კომიტეტი გულდასმით სწავლობს, ამიტომ შენიშვნებსა და რეკომენდაცებს 2-3 წლის შემდეგ აქვეყნებს ხოლმე...**

თეა მოსია.

საფრთხე

# ალაზანი ათეულობით ჰექტარს ანადგურებს

**მოძრაობამ „სამართლიანი საქართველოსთვის“ ბრიფინგი გამართა თემაზე: „მდინარე ალაზნის კალაპოტის შეცვლის შედეგად სასაზღვრო ზოლში წარმოქმნილი პრობლემები“.**

**„საქართველო-აზერბაიჯანს შორის სასაზღვრო ზოლს მდინარე ალაზანი ქმნის. გაზაფხულზე, უხვწყლიანობის დროს იგი კალაპოტს იცვლის და საქართველოს მხარეს არსებულ ტერიტორიებს ტბორავს, ზოგჯერ იტაცებს კიდეც.**

**მოძრაობის ახალგაზრდული გუნდის თავმჯდომარის განცხადებით, ისინი პირადად გაეცნენ მოსახლეობის გულისტკივილს — წლებია რაც პრობლემა არსებობს, განსაკუთრებით მწვავედ კი კახეთის რეგიონს აწუხებს. ნიაღვრის დროს მდინარე ათეულობით ჰექტარზე ანადგურებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. მოსახლეობის მთელი წლის სარჩო-საბადებელი წყალში იყრება“,** — განაცხადა გიორგი აფხაიძემ.

გეოლოგთა ვარაუდით ნიაღვრები უფრო გაძლიერდება და თუ გადამჭრელი ზომები დროულად არ იქნა მიღებული, ჯებირების გარეშე დარჩენილი მდინარე მარტო სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს კი არა, იმ ერთადერთ წყალსაცავსაც წალეკავს, საიდანაც გურჯაანის მოსახლეობა სასმელი წყლით მარაგდება.

**„ჩვენ მივმართავთ ხელისუფლების სათანადო სტრუქტურებს, ჩაატარონ ნაპირსამაგრი სამუშაოები პრობლემატურ 12-კილომეტრიან ზოლზე. გაფორმდეს ხელშეკრულება საზღვრის დემარკაცია-დემილიტაციის შესახებ, რათა ავირიდოთ შესაძლო დაპირისპირება ქართულ-აზერაბიჯანულ მხარეს შორის. მოვითხოვთ, დავიბრუნოთ წაყრუებითა და დაუდევრობით დაკარგული ქართული მიწა“,** — აღნიშნა გიორგი აფხაიძემ.

გულნაზ გახარია.

ინფორმაცია

## „ერთად ჩავუხტეთ ჩათლახების ბატონს“



**სამშობლო არის ის, რის გამოც თავის გაწირვა და სიკვდილზე წასვლა ღირს, — ამის შესახებ თელავში საინფორმაციო მიტინგზე ქართული პარტიის ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ განაცხადა. მის თქმით, მან თელავში მოღვაწეობა 10-15 წლის წინ დაიწყო და ამიტომ მოუწოდა თელაველებს გვერდში დაუდგნენ და „დღევანდელი ხელისუფლება, რომელმაც შავი ჭირის სახე მიიღო, ერთად მოაშორონ“.**

**— როდესაც მე კახეთში ვიყავი, მაშინ ჯერ კიდევ კარგი დრო იყო. ალბათ ყველას გახსოვთ, რა ღირდა მაშინ ყურძენი და რამდენად კმაყოფილი იყო გლეხიც, კომპანიის წარმომადგენელიც და მევენახეც. ახლა კი ეს ყველაფერი ამ ხელისუფლებამ მოაშორა“, — აღნიშნა გაჩეჩილაძემ.**

**მისივე თქმით, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ მათ ბრძოლა 4 წლის წინ დაიწყეს და მიუხედავად იმისა, რომ დღეს სააკაშვილი კვლავ თავის სავარძელში ზის, არ ნიშნავს რომ ეს ბრძოლა უნდა შეწყდეს.**

**ამასთან, გაჩეჩილაძემ შეკრებილ მოსახლეობას მიმართა და უთხრა რომ არჩევანი უნდა გააკეთონ შიშსა და სამშობლოს შორის.**

**— „მოგიწოდებთ ყველას, რომ ერთად ჩავუხტეთ მუხრან ბატონს, ვერ ვიტყოდი, მაგრამ ჩათლახების ბატონს“, - მიმართა თელავის ცენტრში შეკრებილ აქციის მონაწილეებს ქართული პარტიის ლიდერმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

ელჩის კერძო აზრი

# „აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და იქ უნდა დავბრუნდეთ“

**საქართველოში რუმინეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დან მიჰაი ბარლიბას განცხადებით, „აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და იქ უნდა დავბრუნდეთ“.**



ამის შესახებ ბარლიბამ გუშინ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ელჩის საათის“ ფარგლებში გამართული ვიზიტის დროს განაცხადა.

**„სამი წლის წინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიით აფხაზეთში ვიყავი ჩასული. ჩემთან ერთად საფრანგეთის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ერიკ ფურნიე და 10-მდე სხვა დიპლომატი იყო. მაშინ ყველაფერი განადგურებული იყო: სანატორიუმები, სასტუმროები, ზოგადად ეკონომიკა, თუმცა ბუნება კვლავ საოცრად ლამაზია. სამხრეთ ოსეთშიც ვარ ნამყოფი, მაგრამ აფხაზეთი მასთან შედარებით, სამოთხეა. ამ ვიზიტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და იქ უნდა დავბრუნდეთ“, — განაცხადა ბარლიბამ და იქვე დასძინა, რომ „აფხაზეთის საქართველოსთვის დაბრუნების წინააღმდეგი ერთი ვინმეს გარდა, არავინაა“.**

**„არავინ არის წინააღმდეგი, ეს ტერიტორია საქართველოს დაუბრუნდეს, გარდა ერთი ვიღაცისა. რაც შეეხება ნაურუს, ნიკარაგუას და მათ მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, ეს არაფერს ნიშნავს, რადგან მაგალითად, ნაურუ თქვენი უნივერსიტეტის შენობის ტოლი ქვეყანაა“,** — აღნიშნა ბარლიბამ.

აფხაზეთზე საუბრისას ელჩი საქართველოს ნატოში ინტეგრაციის თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ მოსაზრება, თითქოს კონფლიქტების მოგვარებამდე საქართველო ნატოში ვერ გაწევრდება, სიმართლეს არ შეესაბამება.

**„არ დაუჯეროთ იმ ხალხს, რომელიც გეუბნებათ, რომ კონფლიქტური რეგიონების გამო ნატოს წევრი ვერ გახდებით. გერმანია ორად იყო გაყოფილი, როცა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრდა. საქართველოს ნატოში გაწევრების წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ ამბობენ, „ჯერ არაო. თუმცა თუ ადრე იდგა საკითხი, „გახდება თუ არა საქართველო ნატოს წევრი? ეხლა ისმის კითხვა „როდის? ასე, რომ წინსვლა ცალსახაა. ამისთვის საქართველოს საშინაო დავალება აქვს შესასრულებელი. სამხედრო რეფორმა ქვეყნის მთავრობამ უკვე გაატარა, ეხლა კი სამუშაოები დემოკრატიის და მედიის თავისუფლების მიმართულებითაა გასატარებელი“,** — დასძინა ელჩმა.

„პირველი“

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

უინსტონ ჩერჩილი

# სანამ კაპრალი ჰიტლერი გაფიურერდებოდა....

ერთი თავი წიგნიდან

შეუძლებელია ჩამოაყალიბო სამართლიანი მსჯელობა საზოგადო ფორუმზე, რომელმაც ისეთი შემზარავი ზომები მიიღო, როგორიც ადოლფ ჰიტლერია, მანამდე, სანამ ჩვენ წინაშე გადაიშლება მთელი მისი ცხოვრება. თუმცა არანაირ მომდევნო პოლიტიკურ წარმატებებს არ შეუძლიათ გაამართლონ შეცდომები, ისტორიაში ბევრია იმის მაგალითი, როდესაც ხალხი მოდიოდა ხელისუფლებაში, იყენებდა მკაცრ და საშინელ მეთოდებსაც კი; მაგრამ როდესაც მათი სიცოცხლე წარმოჩინდა მთლიანად, ისინი მიიჩნიეს დიდ ადამიანებად, რომლებმაც გაამდიდრეს ისტორია. ასე შეიძლება მოუვიდეს ჰიტლერსაც.

ასეთი საბოლოო მსჯელობა მიუღწეველია დღეს ჩვენთვის (დაწერილია 1935 წელს – მთ.ძ. არ შეგვიძლია ვთქვათ, გახდება თუ არა ჰიტლერი ის ადამიანი, რომელიც გააჩაღებს მსოფლიოს წინაშე კიდევ ერთ ომს, რომელშიც ცივილიზაცია მიიღებს აუნაზღაურებელ დანაკარგებს, ან ის შევა ისტორიაში როგორც ადამიანი, რომელმაც აღადგინა დიდი გერმანელი ხალხის ღირსება და სიმშვიდე და დააბრუნა იგი – სასარგებლო, ძლიერი და მშვიდი – თავის ადგილზე ევროპული ოჯახის პირველ რიგებში. მომავლის ამ ამოცანას მხოლოდ ისტორია გადაწყვეტს. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე შესაძლებლობა ამ მომენტში სავარაუდოა. და სანამ ისტორია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, სანამ მისი საბედისწერო თავები მხოლოდ გამოსვლისთვის ემზადება, იძულებული ვართ გამოვიდეთ მისი საქმეებისა და მსოფლმხედველობის ბნელი მხრიდან, თუმცა ამავე დროს არასოდეს არ უნდა დავკარგოთ უფრო ნათელი პერსპექტივის იმედი.

ადოლფ ჰიტლერი იყო იმ ძლიერი იმპერიისა და ხალხის რისხვისა და მწუხარების შვილი, რომლებმაც განიცადეს გამანადგურებელი დამარცხება ომში. ეს მან, რომელიც გერმანელების შეგნებიდან რიცხავდა განწირულობის ეშმაკს, ცვლიდა მას ნაკლებად ბოროტი, მაგრამ ნაკლებად სახიფათო შურისძიების ეშმაკით. როდესაც გერმანული არმიები უკან იხევდნენ მთელ ფრონტზე და ეძებდნენ მშვიდობას მათთან, ვის მიწაზეც ისინი იდგნენ ჯერ კიდევ, როგორც დამპყრობლები, როდესაც ამაყი და ძლიერი ნებისყოფის პრუსიელი ხალხი წელში ტყდებოდა ფრონტზე დამარცხების სიმძიმით და რევოლუციით ზურგში, როდესაც იმპერიის მთავრობა, რომელსაც ორმოცდაათზე მეტი საშინელი თვის განმავლობაში შიშის ქვეშ ჰყავდა მოქცეული თითქმის ყველა ხალხი – სამარცხვინოდ დაემხო, დატოვა თავისი ერთგული ქვეშევრდომები დაუცველად და უიარაღოდ მძიმედ დაჭრილი გამარჯვებული მოკავშირეების წინაშე, როდესაც სცენაზე ყველაფრის დასაბრუნებლად გამოვიდა ერთი კაპრალი, ყოფილი ავსტრიელი მღებავი.

ამ გადაწყვეტილებიდან მომდევნო თხუთმეტი წლის განმავლობაში მან შეძლო დაებრუნებინა გერმანია ყველა ძლიერ პოზიციაზე ევროპაში. მან არა მხოლოდ აღადგინა ქვეყნის მდგომარეობა, არამედ მნიშვნელოვანწილად გადასინჯა კიდეც დიდი ომის შედეგები. სერ ჯონ საიმონმა ბერლინში თქვა, რომ ის, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, უკვე ველარ ხედავს სხვაობას გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს შორის. სინამდვილეში ასეთი სხვაობა ჯერჯერობით ისევ არის, მაგრამ დამარცხებულები თანდათან ხდებიან გამარჯვებულები, გამარჯვებულები კი – დამარცხებულები. ჰიტლერი როდესაც იწყებდა, გერმანია პირქვე დაემხო მოკავშირეების წინაშე. მას შეუძლია იცოცხლოს იმ დღემდე, როდესაც ყველაფერი, რაც ევროპისგან დარჩება, პირქვე დაემხობა გერმანელების წინაშე. ჩვენ რასაც უნდა ვფიქრობდეთ ამ გამარჯვებებზე, ისინი, ეჭვსგარეშეა, ყველაზე დიდ წარმატებათა რიგშია მსოფლიოში.

ჰიტლერის წარმატება და მისი დაწინაურება, როგორც პოლიტიკური ძალისა, შეუძლებელი იქნებოდა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების დაყოვნებული რეაქციისა და არაშორსმჭვრეტელობის გარეშე ომის და განსაკუთრებით უკანასკნელი სამი წლის შემდეგ. არ იყო მიღებული არც ერთი ჭეშმარიტი მცდელობა გამოენახათ საერთო ენა გერმანიის სხვადასხვა ზომიერ ძალებთან, რომლებიც არსებობდნენ საპარლამენტო სისტემის პირობებში. ფრანგებს დიდი ხნის განმავლობაში მტკიცედ სწამდათ აბსურდული დაბნეულობა, რომ მათ შეუძლიათ მიიღონ უზარმაზარი კომპენსაცია გერმანელებისგან, რათა აინაზღაურონ სამხედრო დანაკარგები. სარეპარაციო გადახდების ციფრები დაამტკიცეს არა მხოლოდ ფრანგებმა, არამედ ინგლისელებმაც, რომლებსაც არანაირი დამოკიდებულება არ ჰქონიათ სიმდიდრეთა გადაყვანის პროცესთან (რეალურად არსებობდა იგი თუ გეგმებშიძ ერთი სათემოდან მეორეში. ამ უაზრო მოთხოვნების შესასრულებლად საფრანგეთის არმიამ 1923 წელს რურის ოლქის ხელმეორე ოკუპაცია მოახდინა. სამოკავშირეოთაშორისო კომისია ერთი ნიჭიერი ამერიკელის ხელმძღვანელობით რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდა გერმანიის ფინანსების ცალმხრივ აუდიტს, რითაც მუდმივად ანახლებდა და ამაგრებდა უკიდურეს ზიზღს დამარცხებული ხალხის გულში. მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, ამ მტკივნეული ღონისძიებებიდან არაფერი სასარგებლო არ გამოვიდა, ვინაიდან, მართალია მოკავშირეებმა ჩამოართვეს გერმანიას აქტივები მილიარდი გირვანქა სტერლინგის ოდენობით, შეერთებულმა შტატებმა და (შედარებით ნაკლებადძ დიდმა ბრიტანეთმა ამავე დროს მისცეს გერმანიას ორი მილიარდის კრედიტი. და აი, გამოვიდა ისე, რომ მოკავშირეები თავზე აყრიდნენ გერმანიას სიმდიდრეს, რათა მას შესძლებოდა ფეხზე დადგომა და აღედგინა თავისი ცხოვრება და მრეწველობა. შედეგად სულ უფრო მზარდი ხდებოდა გაუგებრობა და ამ ფულის დაკარგვის რეალობა. მაშინაც კი, როდესაც გერმანია ღებულობდა უზარმაზარ მოგებას მისთვის მიცემული სესხებიდან, ჰიტლერის მოძრაობა, რასაც ასაზრდოებდა ხალხის გაღიზიანება მოკავშირეთა ჩარევის გამო, ყოველ კვირაში იძენდა სულ უფრო მეტ გაქანებასა და ძალას.

მე ყოველთვის ვუჭერდი მხარს დოქტრინას, რომლის თანახმადაც დამარცხებულთა პრობლემების გადაჭრა წინ უნდა უსწრებდეს გამარჯვებულთა განიარაღებას. ვერსალისა და ტრიანონის საზავო ხელშეკრულებების პრობლემების მოსაწესრიგებლად არაფერი არ გაკეთებულა (ვერსალის 1919 წლის ივნისის საზავო ხელშეკრულება, რომელსაც ვერსალის სასახლეში მოეწერა ხელი, მიძღვნილი იყო გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგებისადმი. მისი ნაკლოვანებები და ის, სადამდეც მათ მიგვიყვანეს, კარგად არის ცნობილი. იგივე შეიძლება ითქვას ტრიანონის საზავო ხელშეკრულებაზეც, რომელსაც ხელი მოეწერა იქვე, ვერსალში, მაგრამ ტრიანონის დიდ დარბაზში 1920 წლის ივნისში. იგი მიძღვნილი იყო ავსტრია-უნგრეთში მშვიდობიანი მოწესრიგებისადმი.ამ ხელშეკრულებათა შედეგად ჩამოყალიბდა ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან პოლონეთი, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი და სხვები – მთ.ძ. თავის კამპანიაში ჰიტლერს შეეძლო მუდმივად მიეთითებინა მეორეხარისხოვანი უყურადღებობანი და უსამართლობის შემთხვევები, რომლებიც დაშვებული იყო ზოგიერთი ხალხის მიმართ ევროპაში ტერიტორიული დაყოფის დროს, და რომლებიც ახლა ნავთს ასხამდნენ მის კოცონს. ამავე დროს ინგლისელი პაციფისტები, ვისაც უსაფრთხო მანძილიდან ეხმარებოდნენ მათი ამერიკელი თანამოძმენი, აჩქარებდნენ განიარაღების პროცესს უნახავ საზღვრებამდე. წლითიწლობით უმცირეს ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ გარემომცველი სამყაროს რეალობას. განიარაღების კომისიამ შეისწავლა მოკავშირეების შეიარაღების შემცირების ურიცხვი სქემები, რომლებსაც გულისყურით არავინ ეკიდებოდა, დიდი ბრიტანეთის გარდა. შეერთებული შტატები, რომელიც განიარაღებას ქადაგებს, შვიდმილიანი ნაბიჯებით აგრძელებდა თავისი არმიის, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების განვითარებას. საფრანგეთი, შეერთებული შტატების დაპირებული გარანტიებით, გერმანიის გიგანტური შეიარაღებული ძალების თანდათანობითი აღორძინების წინაშე, ბუნებრივია, უარს ამბობდა შეემცირებინა თავისი თავდაცვითი შესაძლებლობანი. თავისი მიზეზებით ზრდიდა შეიარაღებას იტალია. და მხოლოდ ინგლისმა არსებითად შეამცირა თავისი თავდაცვითი პოტენციალი ხმელეთზე და ზღვაზე, და თითქოს, სრულიადაც ვერ ხედავდა ახალ საფრთხეს, თავზე რომ უკვე დასტრიალებდა.

ამ დროს გერმანელებმა, ძირითადად ბრიუნინგის მთავრობის დროს, დაიწყეს თავიანთი სამხედრო სიძლიერის აღდგენა. მას ავითარებდნენ ყველა არხით. სპორტული და სამოქალაქო ავიაცია იქცა უზარმაზარ ზეწრად, რომლის ქვეშაც მთელს გერმანიაში იმალებოდა უზარმაზარი ორგანიზატორული მუშაობა ჰაერში ომისთვის მზადებისთვის. ვერსალის მიერ აკრძალული გერმანიის გენერალური შტაბი იზრდებოდა წლითიწლობით და უზარმაზარ ზომებს მიაღწია, იმალებოდა მრეწველობის სახელმწიფო მართვის ქვეშ. გერმანიის ყველა საწარმო წარმოუდგენელი დეტალიზაციით მომზადებული იყო სამხედრო პროდუქციის წარმოებისთვის. ეს მზადება, თუმცა საგულდაგულოდ იყო გასაიდუმლოებული, მიუხედავად ამისა, ცნობილი იყო საფრანგეთისა და ინგლისის დაზვერვის სამსახურებისთვის. მაგრამ ორი ქვეყნის მმართველ წრეებში არ აღმოჩნდა სახელისუფლო ძალა, რომელიც მოუწოდებდა გერმანიას შეჩერებულიყო ან, თუნდაც, დაეწყო ხელშეკრულებათა გადასინჯვა, ანდა კიდევ უკეთესი – ერთიც და მეორეც ერთად. პირველი, ყველა შემთხვევაში, სავსებით უსაფრთხო და მარტივი იყო 1931 წლის ბოლომდე, მაგრამ მაკდონალდი და მისი კოლეგები კმაყოფილდებოდნენ ხმამაღალი ბანალობის წარმოთქმით იმის შესახებ, თუ როგორი კურთხეულია ქვეყანა, იხვეჭდნენ მთელი ჩვენი კუნძულის კეთილსინდისიერი, მაგრამ ცუდად ინფორმირებული უმრავლესობის ტაშს. ჯერ კიდევ 1932 წელსაც კი ინგლისის მთავრობა ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა საფრანგეთზე, რათა შეემცირებინა მისი სამხედრო სიძლიერე, მაშინ, როდესაც ფრანგებმა იცოდნენ, რომ გერმანიის ყველა კუთხეში მიმდინარეობდა გიგანტური მზადება. მე არაერთგზის დეტალურად განვმარტავდი და ვააშკარავებდი ხოლმე ამ პროცესებს თემთა პალატაში. შედეგად ყველა კონფერენცია განიარაღების შესახებ თავდებოდა გერმანიის ხელახალი შეიარაღებით.

სანამ ევროპაში მიმდინარეობდა ეს უზარმაზარი გარდაქმნები, კაპრალი ჰიტლერი აწარმოებდა ხანგრძლივ მომქანცველ ბრძოლას გერმანელთა გულების მოპოვებისთვის. შეუძლებელია კითხულობდე ამ ბრძოლის ისტორიას აღფრთოვანების გარეშე იმ სითამამის, დაბეჯითებისა და ცხოვრებისეული ძალის გამო, რომლებმაც მას მისცეს საშუალება, წამოეწყო თამამი გამოწვევა, შეერიგებინა ხელისუფლების ყველა ინსტანცია და დაეძლია ყველა დაბრკოლება, ნებისმიერი წინააღმდეგობა თავის გზაზე. მან და მის მომხრეთა ლეგიონებმა აჩვენეს, რომ მათს პატრიოტულ მისწრაფებასა და სამშობლოსადმი სიყვარულში მათთვის არაფერია შეუძლებელი, რომ მზად არიან გაწირონ სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება – როგორც თავისი, ისე მტრებისა. ამ ისტორიის ძირითადი ეპიზოდები კარგადაა ცნობილი. შფოთიანი მიტინგები, პუტჩი მიუნხენში, ჰ იტლერის ციხეში გამომწყვდევა, მისი მრავალრიცხოვანი დაპატიმრებანი და სასამართლო გარჩევანი, მისი კონფლიქტი, ჰინდენბურგის სიმპათიის მოპოვება, ჰინდენბურგის უარი ბრიუნინგის მხარდაჭერაზე – ეს ყველაფერი ეტაპებია დიდ გზაზე, რომელიც ავსტრიაში დაბადებულმა კაპრალმა გაიარა გამარჯვებული მარშით სამუდამო დიქტატურისკენ მთელს გერმანელ ხალხზე, რომლის რიცხოვნობაც მაშინ სამოცდაათ მილიონ სულს შეადგენდა, იყო მსოფლიოში ყველაზე შრომისმოყვარე, დამჯერი, გააფთრებული და მებრძოლი ტომი.

გერმანიის უმაღლეს ხელისუფლებაში ჰიტლერი მოვიდა, როგორც ლიდერი ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობისა, რომელმაც გაანადგურა ყველა გერმანული სახელმწიფო და სამთავრო და გააერთიანა ერთ მთლიან სახელმწიფოდ. ამავე დროს ნაცისტურმა რეჟიმმა – საჭიროების შემთხვევაში ძალითაც – ჩაახშო ან გაანადგურა ქვეყანაში არსებული სხვა პარტიები. ზოგიერთ მომენტში მან შენიშნა, რომ გერმანიის მრეწველობისა და ავიაციის საიდუმლო ორგანიზაცია, გერმანიის გენერალურმა შტაბმა რომ შექმნა, შემდეგ კი ბრიუნინგის მთავრობაც, სრულად არის მზად ჩაერთოს საქმეში, მაგრამ ვერავინ ბედავდა ასეთი ნაბიჯის გადადგმას: შიში, რომ მოკავშირეები ჩაერევიან და ყველაფერს ჩანასახშივე აღკვეთენ, აჩერებდა მათ. მაგრამ ჰიტლერი ამაღლდა ძალადობისა და ვნების ტალღაზე ისეთი დაუნდობელი ხალხის გარემოცვაში, როგორიც თვითონ იყო. შეიძლება, რომ, გერმანიის კონსტიტუციური მთავრობის დამხობით, მას არ ესმოდა, თუ როგორ შორს წაიწია მან მისთვის მოქმედების რესურსების მომზადებაში, ის არასოდეს სცემდა მას პატივს და არ აღიარებდა მის წვლილს საკუთარ წარმატებაში.

მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: მას და გერინგს სჭირდებოდათ მხოლოდ სიგნალის მიცემა საიდუმლო გადაიარაღების ისეთი უდიდესი პროცესის დაწყებისთვის, როგორიც არასოდეს ყოფილა. ის ყოველთვის აცხადებდა, რომ თუ ხელისუფლებაში მოვიდოდა, ორ რამეს გააკეთებდა, რასაც გერმანიისთვის მის მეტი ვერავინ შეძლებდა. ჯერ ერთი, ის დაუბრუნებს გერმანიას მის ძველებურ ხელისუფლებასა და გავლენას ევროპაში და, მეორეც, გაანადგურებს საშინელ უმუშევრობას, რის გამოც ასე იტანჯებოდა ხალხი. მისი მეთოდები ახლა ცხადია. გერმანიას კვლავ უნდა დაეკავებინა თავისი ადგილი ევროპაში გადაიარაღების გზით, გერმანელები კი უნდა გათავისუფლებულიყვნენ წყეული უმუშევრობისგან, დაეწყოთ მუშაობა იარაღის წარმოებისთვის და სხვა სამხედრო მომზადებისთვის. 1933 წლიდან გერმანიის ყველა არსებული ძალა, სახელმწიფო ხელისუფლებისა და თანამედროვე პროპაგანდის ყველა საშუალება მიზნად ისახავდა მზადებას ომისთვის არა მხოლოდ საწარმოებში, ყაზარმებსა და აეროდრომებზე, არამედ სკოლებშიც, უნივერსიტეტებშიც და ლამის საბავშვო ბაგებშიც კი. მთელი ხალხი სწავლობდა ომს და ემზადებოდა მისთვის.

მხოლოდ 1935 წელს დაინახა უზრუნველმა და უგუნურმა მსოფლიო ამ გულახდილობის მთელი საშინელება. ჰიტლერმა თავი დაანება შენიღბვას, გაიჭრა წინ, კბილებამდე შეიარაღებული, თავისი სამხედრო ქარხნებით, დღე და ღამე რომ მუშაობდნენ, თვითმფრინავების ურიცხვი ესკადრილიებით, წყალქვეშა ნავების ესკადრებით, რომლებიც მანევრებს ბალტიკაზე აწყობდნენ, და ჯარისკაცების ურდოებით, ყაზარმების სასწავლო მოედნებს რომ ტკეპნიდნენ მთელს უზარმაზარ რეიხში ერთი კუთხიდან მეორემდე. აი სადა ვართ დღეს ჩვენ, სიტუაცია კი, როდესაც უშფოთველ, უნიჭო და ახლომხედველ გამარჯვებულებს ურტყამენ მათივე იარაღით, უნდა ითვლებოდეს დიდ მომასწავლებელ ნიშნად მთელ მსოფლიო ისტორიაში, და ეს მომასწავებელი ნიშანი კი განუყოფელია ერთი ადამიანის პირადი ძალისხმევისა და ცხოვრებისეული დაწოლისგან.

არ არის გასაკვირი, რომ ყველამ უნდა იცოდეს „სიმართლე ჰიტლერის შესახებ“. რას გააკეთებს ის იმ უზარმაზარი ძალებით, რომლებიც უკვე არიან მის განკარგულებაში და ყოველ კვირაში ხდებიან სულ უფრო მეტი და უკეთესი! თუ, როგორც მე უკვე ვლაპარაკობდი, მივმართავთ წარსულს, მხოლოდ რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიქონიოთ მსჯელობა, ჩვენ, უეჭველია,




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

უნდა ვიგრძნოთ შეშფოთება. ჰიტლერის დღემდე ტრიუმფალური კარიერა მიიწევს წინ არა მხოლოდ გერმანიისადმი მგზნებარე სიყვარულით, არამედ ზიზღის ისეთი ნაკადებითაც, რომ ზიზღმა გამოაშრო იმათი სულებიც, ვინც ჩაფლული იყო ამ ნაკადებში. ზიზღი საფრანგეთისადმი — არის პირველი ეს ნაკადი, და საჭიროა მხოლოდ წაიკითხო ჰიტლერის „მაინ კამპფი“ („ჩემი ბრძოლა“ძ, რომ დაინახო. ფრანგები არ არიან ერთადერთი ერი, ვის წინააღმდეგაც შეიძლება იყოს მიმართული გერმანიის გადაიარაღების რისხვა.

შინაგანი აქცენტები კიდევ უფრო გამაოგნებელია. ეჭვი აქვთ, რომ ებრაელებმა თავიანთი გამყიდველი და პაციფისტური გავლენით ხელი შეუწყვეს გერმანიის დამარცხებას პირველი მსოფლიო ომის ბოლოს. ისინი ასევე მიაჩნიათ კომუნიზმის მთავარ საყრდენ ძალად და სხვა პორაჟენული დოქტრინების ავტორად. ამიტომ ებრაელებისთვის გერმანიაში, ეს კი ასეული ათასობით კაცია, უნდა ჩამოერთმია ხელისუფლების ნებისმიერი სახეობა, გაეყარა თავიანთი ადგილებიდან საზოგადოებრივ და სოციალურ ცხოვრებაში, წაერთმია სამსახური, ჩამოერთმია ხმის უფლება პრესაში და გამოეცხადებინა ბინძურ და საზიზღარ ტომად. მეოცე საუკუნე გაოცებული მოწმე გახდა არა მხოლოდ ამ ველური დოქტრინების გავრცელებისა, არამედ მთავრობისა და მოსახლეობის მიერ მათი მკაცრი განხორციელებისაც. არც წარსულ დამსახურებას, არც დამტკიცებულ პატრიოტიზმს, ომში მიღებულ წყლულებსაც კი არ შეეძლოთ დაეცვათ ის ხალხი, ვისი ერთადერთი დანაშაულიც იყო ის, რომ მშობლებმა გააჩინეს ისინი ამ ქვეყანაზე. დევნის ყველა სახეობა, დიდიც და მცირეც, გამოიყენეს და მოიწონეს ყველა ებრაელის წინააღმდეგ, დაწყებული მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერებიდან, მწერლებიდან და კომპოზიტორებიდან და დამთავრებული უბედური პატარებით ებრაულ სკოლებში. ეს რეპრესიები გრძელდება დღესაც.

ამგვარი დევნა თავს დაატყდათ ყველა ჯურის სოციალისტებსაც და კომუნისტებსაც. ერთნაირადვე იდევნებიან პროფკავშირული მოღვაწეები და ლიბერალური ინტელიგენცია. ყველაზე მსუბუქი კრიტიკაც კი ითვლება დანაშაულად სახელმწიფოს წინაშე. სასამართლოები განიხილავენ ჩვეულებრივ საქმეებს, მაგრამ პოლიტიკური სამართალდარღვევის ყველა შემთხვევაში ისინი ჩამორჩებიან ეგრეთ წოდებულ სახალხო სასამართლოებს, რომლებიც ურყევი ნაცისტებისგან შედგებიან. ახალი არმიების სწავლების პოლიგონებისა და უზარმაზარი აეროდრომების გვერდით გერმანული მიწა დაამახინჯეს საკონცენტრაციო ბანაკებით. მათში ათასობით გერმანელს ძალითა და შიშით ასწავლიან ტოტალიტარული სახელმწიფოს დაუძლეველი ძალის მორჩილებას. ებრაელებისადმი სიძულვილმა ლოგიკურად მიგვიყვანა ქრისტიანობის ისტორიული საფუძვლების შეტევამდე. კონფლიქტი გაფართოვდა, და მალე კათოლიკე მღვდლები და პროტესტანტი პასტორები აღმოჩნდნენ აკრძალვის ქვეშ გერმანელი ხალხის ახალი რელიგიისა, რაც ძველი ნორდული (ჩრდილოდასავლურიძ წარმართული ღმერთებისადმი თაყვანისცემაში გამოიხატება. ასეთია დღეს სიტუაცია.

ვინ არის იგი, ეს პირქუში პიროვნება, რომელმაც ასეთი გრანდიოზული შრომა გასწია და გაათავისუფლა ეს საშინელი ბოროტება? იზიარებს იგი დღემდე იმ ვნებებს, რომლებიც გამოაღვიძა? როგორია ახლა ის, თავისი ტრიუმფის გზის სხივებით გაცისკროვნებული მთელ მსოფლიოში, ხალხის სათავეში, რომელიც თავადვე წამოსწია მტვრიდან? აწამებენ მას ახლაც ზიზღი და ანტაგონიზმი, თავგანწირული ბრძოლის შედეგები, თუ იგი კვლავ დაივიწყებს მათ შესახებ, როგორც ივიწყებენ ფარსა და მახვილს წარმატების მისუსტებული გავლენის ქვეშ? აი მართლაც მწვავე საკითხი ყველა ქვეყნის ხალხებისთვის! ისინი, ვინც საზოგადოებრივ ან სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით ხვდებოდა ჰიტლერს, მას მიიჩნევენ სასიამოვნო მანერების ჩინოვნიკად, რომელიც გხიბლავს ღიმილით. ცოტა ვინმეს თუ გაუძლია მისი პირადი მომხიბლაობისთვის. და ეს მხოლოდ თავბრუდახვევა როდია ხელისუფლებისგან. ის ასეთსავე შთაბეჭდილებას ახდენდა თავის თანამებრძოლებზე მისი ბრძოლის ყველა ეტაპზე, მაშინაც კი, ბედი მეტად არაკეთილგანწყობილად რომ იყო მის მიმართ. ამიტომ მსოფლიო ცხოვრობს იმ იმედით, რომ უარესი უკანაა, რომ ჩვენ ვიცოცხლებთ იმ დრომდე, როდესაც ვიხილავთ ჰიტლერს უფრო კეთილს უფრო ბედნიერ დროში.

ამ დროს ის ხალხის წინაშე გამოდის სიტყვებით, რომლებიც გამსჭვალულია გულწრფელობითა და სიმშვიდით. ამ ცოტა ხნის წინათ მან ბევრი დამამშვიდებელი სიტყვა თქვა, რომლებმაც აღმოაჩინეს ყურადღებიანი მსმენელები მათ შორის, ვინც ასე ტრაგიკულად ცდებოდა გერმანიასთან დაკავშირებით წარსულში. რას იზამ, დრო გვიჩვენებს, სხვა გზა არ არის. მანამდე კი — ტრიალებენ უზარმაზარი ბორბლები და გერმანიის სამხედრო წარმოებისთვის გადაკეთებული არსენალებიდან და ქარხნებიდან უწყვეტი და მზარდი ნაკადით გამოდიან შაშხანები, ზარბაზნები, ტანკები, ჭურვები, საავიაციო ბომბები, ბალონები მომწამვლელი გაზით, თვითმფრინავები, წყალქვეშა ნავები, ახლა კიდევ უზარმაზარი სამხედრო ფლოტიც.

1935 წ.

თარგმნა
**ზურაბ ლომიძემ**



## შორეული ახლობელი

# რაულ ჩილაჩავას „მიახლოება ლატვიასთან“

**5 მაისს ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის ხალხით გაჭედილ სააქტო დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია რაულ ჩილაჩავას ახალი წიგნისა „მიახლოება ლატვიასთან“ (რიგა, გამომცემლობა „ბონმარკი“, 2011), რომლის წინასიტყვაობაშიც ნათქვამია: „ამ წიგნის დაწერა მე შემეძლო ქართულად, შემეძლო უკრაინულადაც, მაგრამ დავწერე იგი რუსულად — მნიშვნელობა ჰქონდა მკითხველთა აუდიტორიის სიდიდეს.**

მკითხველი კი მე მყავს საქართველოშიც, უკრაინაშიც და თვით ლატვიაშიც, სადაც რუსული ენა ჯერ კიდევ ბევრს გაეგება. ასე აეწყო, რომ მივეჩვიე ჩავლილი წლები გამოცემული წიგნების რაოდენობით აღვნუსხო. ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად კი, გამოგიტყდებით, შემიძლია თავი კავკასიელ ხანდაზმულად ჩავთვალო, რადგან კრებული, ხელთ რომ გაქვთ, 99-ეა ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაში და მის სრულიად ახალ და უჩვეულო ფურცელს გადაგიშლით. აქ ერთმანეთს მჭიდროდ გადაეწნა გეოპოლიტიკა და ლირიკა, მემუარისტიკა და ჟურნალისტიკა, ფიქრები დიპლომატიურ ხელოვნებაზე და ხელოვნებაზე კლასიკური გაგებით. ინტერვიუ, სტატიები, გამოსვლები, დღიურები, პრესის გამოხმაურებები, ფოტოები — ყოველივე ეს ექვემდებარება უმთავრეს იდეას: წარმოაჩინოს ლატვიაში უკრაინის საელჩოს საჯარო საქმიანობის უტყუარი პანორამა, საელჩოსი, რომლის ხელმძღვანელობაც ბოლო წლებში (2005-2010ძ განგების ნებით მე მერგო. ამავდროულად წიგნი წარმოადგენს ერთგვარ მცდელობას გასცეს პასუხი კითხვაზე: როგორ გრძნობს თავს ლატვია, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, „კავშირიდან კავშირში, ბლოკიდან ბლოკში“ გადასვლის შემდეგ, რა იმედებით აღადგენდა იგი ოცი წლის წინათ თავის დამოუკიდებლობას და როგორია მისი წარმატებები დღეს ევროპულ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, ევროკავშირისა და ნატოს ჭერქვეშ...“

ქართველი მწერლისა და უკრაინელი დიპლომატის წიგნის წარდგენაზე მოვიდნენ პოლიტიკოსები, დიპლომატები, მწერლები, ჟურნალისტები, ბიზნესმენები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთ გამოსვლებში აღტაცებას ვერ ფარავდნენ ავტორის მრავალმხრივი ნიჭისა და იმ დიდი ღვაწლის გამო, რომელიც მან დასდო სამი ქვეყნის — უკრაინის, ლატვიისა და საქართველოს — ურთიერთობათა განმტკიცება-გაღრმავებას. რაულ ჩილაჩავას ფენომენზე, მის უცნაურ და ამავე დროს არაჩვეულებრივად საინტერესო ბედზე საუბრობდნენ შეხვედრის წამყვანი, ლეგენდარული კინორეჟისორი იანის სტრეიჩი (რომელსაც თურმე ზუგდიდიში სტუმრობისას გაუჩნდა იდეა გადაეღო თავისი განთქმული ფილმი „თეატრი“ძ, არანაკლებ ლეგენდარული ქირურგი, ქართველი დასტაქრის არჩილ მაჩაბლის ნამოწაფარი და ლატვიის ამჟამინდელი პრეზიდენტის ვალდის ზატლერსის ყოფილი მასწავლებელი აკადემიკოსი ვიქტორ კალნბერზი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი იურის ეკმანისი, ცნობილი საპარფიუმერიო ფირმის „ძინტარის“ პრეზიდენტი, პროფესორი ილია გერჩიკოვი, გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე იმანტ აუზინში, პოპულარული პუბლიცისტი იანის უდრისი და სხვები. სტუმარს მიესალმნენ ლატვიის ქართული საზოგადოება „სამშობლოს“ ხელმძღვანელი ნუგზარ მძინარაშვილი და მხატვარი ნუგზარ პაქსაძე, უკრაინული დიასპორისა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები. შეხვედრის დასასრულს ავტორმა დამსწრეებს ავტოგრაფებიანი წიგნები უსახსოვრა და ქართული ღვინითაც უმასპინძლა.

**იანის ლიეპინში,**
სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისთვის“.
რიგა.

**რედაქციისაგან: ლატვიის პრესა ვრცლად გამოეხმაურა რაულ ჩილაჩავას წიგნის გამოსვლას და მის პრეზენტაციას რიგაში. შევეცდებით ეს მასალები მალე ჩვენს მკითხველებსაც გავაცნობთ.**



## ვაიმე, ენავ!

რუბრიკას უძღვება მურმან თავდიშვილი

# ტემპერატურის გათბობა და კიდევ რაღაც-რაღაცები

**ამ ბოლოს ტელეარხები ერთმანეთს ეჯიბრებიან ტემპერატურის გათბობა-გაცხელებაში. ამას წინათ „რუსთავი-2“ აცხადებდა: ტემპერატურა ცხინვალში 4 გრადუსამდე გათბაო. ჰაერი კი არა, ტემპერატურა გათბაო. მალე „იმედმა“ გაუმინდა: ტემპერატურა ათ გრადუსამდე გაცხელდებაო.**

ჯერ ერთი, ათი გრადუსი სიცხე არაა; მეორეც, ტემპერატურა კი არა, ჰაერი გათბება!

აქედან ჩანს: დიქტორ-კომენტატორები არც კი უკვირდებიან, თუ რასა ბრძანებენ.

მეტყველებას კიბოსავით მოედო ცნებათა აღრევა. ერთმანეთში ერევათ სრულიად განსხვავებული შინაარსის „გაგიგია“ და „გაგიგონია“. აგერ მაგალითიი: „იმედის“ გადაცემა „შუა ქალაქში“. 2 მარტი, 12 საათი. იმართება დიალოგი:

— ხმა ხომ არ გაგიგია?

— არა, არ გამიგია!“

მსგავსი აბსურდი მხოლოდ ამ გადაცემაში ცხრაჯერ განმეორდა!

სინამდვილეში აქ საჭირო იყო სიტყვა **გაგიგონია.** ხმას (ხმაურსძ გაიგონებენ. ეს ხდება მოკლე მანძილზე. სამაგიეროდ, **გაგება** შეიძლება პეტერბურგში მომხდარი აფეთქების ამბისა.

ამ სიტყვების აღრევის სენი თითქმის მთელ ტელესივრცეს მოსდებია.

იგივე ითქმის მეორე სამსჯელო წყვილეულზე: ერთმანეთში ერევათ **დაშავება** და **დაზიანება.**

მიწისძვრის შედეგად შენობა **დაზიანდება,** ადამიანი **დაშავდება.** ასეა წესითა და კანონით, ოღონდ ასე როდია ჩვენს ტელესივრცეში. ამბობენ: მიწისძვრამ დააზიანა შენობები და ადამიანებიო. კიდევ მეტი. ასეც ითქვიან: დაზიანებული ადამიანი საავადმყოფოში მიიყვანესო.

ამ ბოლოს ტელევიზია ხშირ-ხშირად უჩვენებს უცხოურ ფილმებს, რომელთა ტექსტებიც ცუდად არის თარგმნილი. განსაკუთრებით თვალშისაცემია, ეტყობა, კალკი, რაც ვითარებას სრულიად არ შეეფერება: პერსონაჟი ცუდადაა, ზოგჯერ სიკვდილის პირასაც კი, და ამ დროს მეორე პერსონაჟი სრულიად შეუფერებელ შეკითხვას უსვამს:

— „კარგად ხარ?“

არადა, კვდება ადამიანი, კარგად როგორღა იქნება?!

ქართველი კაცი ამ ვითარებაში შეკითხვას ასე დასვამს: — „როგორა ხარ?“ ან კიდევ: „ცუდად ხომ არა ხარ?“ „თავს როგორა გრძნობ?“ და ა.შ.

ტელესივრცეს მოეძალა პროვინციალიზმი, მცდარი ფორმები. სწორედ ამაზეა ლევან დათუკიშვილის ეს სტრიქონები:

**„განზრახ ამოფთ“**
**ბარბარიზმებს წყეულს**
**თუ ქართული**
**დაგავიწყდათ მართლა?!**

სწორმეტყველების დაცვა, უწინარეს ყოვლისა, ჟურნალისტებს მოეთხოვებათ, განსაკუთრებით მკაცრად კი — ტელეჟურნალისტებს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რატომ აქვს ისრაელს კავშირები სეპარატისტულ სახელმწიფოსთან, რომელსაც მხარს „ჰამასი“ უჭერს?

**საქართველოს ვერ გაუგია, რატომ ინარჩუნებენ ისრაელის თავდაცვის ძალების გადამდგარი გენერლები GLOBAL GROUP-იდან კონტაქტებს სეპარატისტულ ქვეყანასთან**

დაახლოებით სამი კვირის წინათ, მოსკოვში ორი ებრაელი გადამდგარი გენერალი ჩავიდა. ამ ვიზიტმა, რომელიც საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ისრაელისა და ქართული პრესის მეშვეობით ცნობილი გახდა, ისრაელი საქართველოსთან დიპლომატიურ ინციდენტში შეიყვანა და საგარეო საქმეთა მინისტრი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

მოსკოვში ყოფნისას, გადამდგარი გენერლები – ისრაელ ზივი, სამხედრო საკონსულტაციო ფირმის Global Group-ის დამფუძნებელი, მფლობელი და ისრაელის შეიარაღებული ძალების გენშტაბის ოპერატიული სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი და მეირ კლიფი, გლობალის ბოლოდროინდელი შენაძენი, ეჰუდ ოლმერტისა და ბენიამინ ნეთანიაჰუს ყოფილი სამხედრო მდივანი – სერგეი ბაღაფშს, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონ აფხაზეთის პრეზიდენტს შეხვდნენ. ამ რეგიონის დამოუკიდებლობა მხოლოდ ოთხმა სახელმწიფომ აღიარა. მოგვიანებით, ისინი აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასაც შეხვდნენ. საქართველოდან რეგიონის გამოყოფა ერთ-ერთი მიზეზი იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა, რომლის შემდეგაც მოსკოვი აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებს.

ამ შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ჯერ ისრაელის რუსულენოვან ვებ-საიტზე IzRus-ზე გამოქვეყნდა და მერე ქართულ მედიას ხანძარივით მოედო. ციტირებდნენ ზივის სიტყვებს: „ისრაელი აღიარებს რუსეთთან და აფხაზეთთან სტრატეგიული დიალოგის მნიშვნელობას და მხარს უჭერს ამ კავშირებს“. IzRus-ი იტყობინებოდა, რომ ზივმა გამოხატა აფხაზეთის „არაშეტევითი სამხედრო ტექნიკით“ მომარაგების სურვილი.

ამ ცნობამ საშინლად განარისხა საქართველოს მთავრობა. საქართველოს მთავრობის ოფიციალური პირები და საქართველოს ელჩი ისრაელში, ვახტანგ ჯაოშვილი დაუკავშირდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს იერუსალიმში და ახსნა-განმარტება მოსთხოვეს.

ქართველებს გაუჭირდათ იმის გაგება, თუ როგორ შეიძლება მომხდარიყო, რომ ისრაელის შეიარაღებული ძალების გადამდგარ გენერლებს იმ წარმონაქმნთან კავშირის სურვილი გაუჩნდათ, რომელიც მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობას არ ულიარებია და რომლის მხარდამჭერთა შორისაა „ჰამასი“. რუსეთის გარდა მსოფლიოს ქვეყნებიდან აფხაზეთი მხოლოდ ნიკარაგუამ, ვენესუელამ და წყნარი ოკეანის კუნძულზე მდებარე ქვეყანამ ნაურუმ აღიარეს. ამბობენ, რომ ნაურუმ აღიარებისთვის რუსეთისგან ათობით მილიონი დოლარი მიიღო.

ქართველი ჩინოვნიკები იმანაც გააოგნა, თუ როგორ შეეძლო Global-ს ასე ცინიკურად შეეთავაზებინა სამსახური საქართველოს მტრისთვის მაშინ, როდესაც თვითონ 2008 წლის ომამდე თბილისის სამხედრო კონსულტანტი იყო. ყველაზე მეტად საქართველოს მთავრობას იმის გაგება სურდა, მოქმედებდნენ თუ არა გენერლები ისრაელის მთავრობის თანხმობით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილემ პინხას ავივიმ განაცხადა, რომ სამინისტრომ არაფერი იცოდა წინასწარი მოგზაურობის შესახებ.

„ინფორმაცია მედიის მეშვეობით მივიღეთ, – განაცხადა მან – „ჩვენ ერთმნიშვნელოვნად განვაცხადეთ, რომ არ ვაღიარებთ აფხაზეთის დამოუკიდებლობას და მისთვის არ დავუშვებთ არანაირი სამხედრო აღჭურვილობის ექსპორტს“.

განცხადება გაიმეორა ისრაელის ელჩმა თბილისში იცხაკ გერბერგმა, რომლის თქმითაც აფხაზეთთან დაკავშირებით ისრაელის პოზიცია ცხადია. „ჩვენ არ ვაღიარებთ მას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ისრაელი მას არ მიჰყიდის შეიარაღებას. აფხაზეთში კერძო ბიზნესმენების ვიზიტი შესაძლებელია, მაგრამ ისინი ვერ ილაპარაკებენ ისრაელის მთავრობის სახელით და ვერ იქნებიან მისი წარმომადგენლები“.

თავდაცვის სამინისტროს პასუხი უფრო ორაზროვანი აღმოჩნდა. მის განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „საკითხები, რომლებიც განიხილეს (ზივმა და კლიფიმძ არაფრით უკავშირდება სამხედრო სფეროს და გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს ლიცენზიები საერთოდ არ გაუცია“. სამინისტრომ განაცხადა, რომ ჩვეულებრივ ის არ ილებს წინასწარ ინფორმაციას ზივის უცხოური მოგზაურობების შესახებ და „ის როგორც წესი არ გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას მისი გარიგებების შესახებ სხვადასხვა კომპანიებთან“.

„Global-ი არასდროს მოქმედებს ისრაელის სახელმწიფოსა და მისი საგარეო საქმეების საზიანოდ“ – ადვოკატების მეშვეობით განაცხადა კომპანიამ.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც Global-მა და განსაკუთრებით ზივმა საერთაშორისო დიპლომატიურ ინციდენტში ამოყო თავი.

2009 წელს Global-ი კაპიტან მუსა დადის კამარასთან, რომელიც იმ დროს დასავლეთ აფრიკული ქვეყნის გვინეის დიქტატორი იყო, პრეზიდენტის გვარდიის შეიარაღების თაობაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა. პროექტის ღირებულება 10 მილიონ დოლარს შეადგენდა და მოლაპარაკებები, რომლებშიც საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი შლომო ბენ-ამიც მონაწილეობდა, თურმე ისრაელის თავდაცვის სამინისტროს თანხმობის გარეშე მიმდინარეობდა. საბოლოოდ პროცესი საგარეო საქმეთა სამინისტროს ზეწოლით შეწყდა.

სამთავრობო კომისიამ Global-ი მთავრობის თანხმობის გარეშე ოპერირებისთვის 90 000 N6S-ით დააჯარიმა, თუმცა კომპანიას იმის ნებართვა მისცა, რომ ამ თანხით მის თანამშრომლებს წვრთნები გაევლოთ და ისრაელიდან სამხედრო ექსპორტთან დაკავშირებული პროცედურები შეესწავლათ.

Global-ი აქტიურობდა კოლუმბიაშიც, სადაც ბენ-ამის დახმარებით, ქვეყნის სპეციალური და სადაზვერვო შენაერთების წვრთნის კონტრაქტი მიიღო. ამ შენაერთებს უნდა ებრძოლათ კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. აშშ-ს არმიის, C6A-ის, ზივისა და Global-ის სხვა კონსულტანტების დახმარებით, კოლუმბიის მთავრობამ კარგად იმოქმედა, 2008 წელს გაბედული ოპერაცია განახორციელა და გადაარჩინა პრეზიდენტობის კანდიდატი ინგრიდ ბეტანკური, რომელიც რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებს ექვსი წლის განმავლობაში მძევლად ჰყავდათ.

მაგრამ ამ ბოლო დროს გაირკვა, რომ იქაც კი, სადაც ზივმა ქება დაიმსახურა, ყველაფერი ისე ვარდისფერი არ ყოფილა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. „ვიკილიქსის“ დოკუმენტებში, რომლებიც ამას წინათ Haaretz-მა გამოაქვეყნა, კოლუმბიის მაღალი რანგის სამხედრო ჩინოვნიკები სასტიკად აკრიტიკებენ Global-ს და იმასაც კი აცხადებდნენ, რომ Global-ის თანამშრომლებმა მოიპოვეს კოლუმბიის არმიის საიდუმლო დოკუმენტები და რევოლუციური შეიარაღებული ძალებისთვის ამ ინფორმაციის მიყიდვას გეგმავდნენ.

HA'ARETZ

# თბილისს ფესტივალის ფანტომი აედევნა?

**წუილის ხმა, რომელიც საქართველოდან ისმის, გიტარის გამაძლიერებლის ეძო არ არის. როგორც ჩანს, ის MTV-ის სპონსორობით დაგეგმილი როკ-ფესტივალის დამუხრუჭების ხმაა.**

ხმები ამ კონცერტის შესახებ თბილისში შარშან დეკემბერში გავრცელდა. ყოფილ საბჭოთა კავშირში ის MTV-ის სპონსორობით გამართული პირველი ღონისძიება იქნებოდა და ქართველი ჩინოვნიკები იმედოვნებდნენ, რომ როკ-ფესტივალი მათ ქვეყანას ამ არაოფიციალური მუსიკის მოყვარულ ტურისტთა რუკაზე მოაქცევდა. MTV-ის ევროპის ქსელისა (MTV Networks Europeძ და საქართველოს მთავრობის 2.5 მილიონი დოლარის ღირებულების (პირველი სამწლიანი ტრანშიძ კონტრაქტი სამ კონცერტს მოიცავდა, აქედან 2011 წლის კონცერტი ითვალისწინებდა გლობალურ სარეკლამო კამპანიას, მსოფლიოს ერთ ან ორ საერთაშორისო პოპ-ვარსკვლავს და კერძო სპონსორების დაფინანსებას.

მას შემდეგ ექვსი თვე გავიდა, მაგრამ MTV ფაქტს საჯაროდ არ ადასტურებს. EurasiaNet.org-ის მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, MTV-ის ქსელმა ისიც კი არ დაადასტურა, საერთოდ გაიმართება თუ არა მსგავსი კონცერტი, როგორც ეს „2011 წლის ზაფხულის დასაწყისში“ შავი ზღვის სანაპირო ქალაქ ბათუმში იგეგმებოდა. 4 მაისს MTV-ს დამფუძნებელმა კომპანია Viacom-მა EurasiaNet.org-ს განუცხადა, რომ კომპანიის პოლიტიკა კრძალავს კომენტარის გაკეთებას ისეთ მოვლენებზე, რომლებიც ჯერ „არ გამოცხადებულა“.

თუმცა საქართველოს მთავრობამ ის უკვე გამოაცხადა. შარშან დეკემბერში, საქართველოს კულტურის სამინისტრომ პრესისთვის მოკლე განცხადება გაავრცელა, რომელიც კონცერტის შესახებ დღემდე ერთადერთი ოფიციალური შეტყობინებაა. მას შემდეგ მთავრობა უჩვეულო თავშეკავებას ავლენდა იმის მიმართ, რასაც თავდაპირველად „საქართველოსადმი მასობრივი საერთაშორისო ყურადღების მიპყრობას“ უწოდებდა.

პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის სპიკერმა ნიკოლოზ მჭედლიშვილმა EurasiaNet.org-ს განუცხადა, რომ (ახლა უკვე ივლისისთვის დაგეგმილიძ კონცერტის გამართვა ძალაში რჩება და MTV განცხადებას ამ თვის ბოლოს გააკეთებს.

მაგრამ ბათუმში, სადაც 121 800 ადამიანი ცხოვრობს, იმის არანაირი ნიშანწყალი არ იგრძნობა, რომ ქალაქი ტურისტული სეზონის პიკში ათასობით ახალგაზრდა მუსიკის თაყვანისმცემლის მასპინძლობისთვის ემზადება. აპრილში ადგილობრივი ხელისუფლების ჩინოვნიკებმა EurasiaNet.org-ს კონცერტების სხვადასხვა შესაძლო თარიღები აცნობეს, რომელიც ივნისის და აგვისტოს მოიცავდა. ბათუმის სასტუმროების მფლობელებს, ღამის კლუბების მეპატრონეებსა და თბილისის ტუროპერატორებს მოსალოდნელი კონცერტის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდათ.

როგორც ეს თავდაპირველად ითქვა, ღონისძიება, რომელსაც MTV-ი მალტაში ყოველწლიური მუსიკალური ფესტივალის სახით აწყობს, არ არის იმ ტიპის მოვლენა, რომლიც ბოლო წუთს შეიძლება დაიგეგმოს. აჭარაში დაახლოებით 7 000 სასტუმრო ოთახი და შეზღუდული რაოდენობის კაფეები და რესტორნებია – მწირი პირობები ადამიანთა იმ რაოდენობისთვის, რომელიც კუნძულ მალტაზე ათობით-ათასს აღწევს.

ქალაქის ყველაზე დიდმა სასტუმრო „ბათუმის შერატონმა“, სადაც 202 ოთახია, არ უპასუხა ჩვენს თხოვნას MTV-სთვის მისი პირადი მზადების შესახებ მოეთხრო.

MTV-ს კონცერტი არ არის ის ერთადერთი საერთშორისო ღონისძიება, რომელსაც ბათუმში ამ ზაფხულში ელოდებიან. 3 ივლისს ქალაქის „პიაცაზე“ 1980-იანი წლების პოპლეგენდის სტინგის და ამერიკელი ინსტრუმენტალისტის კრის ბოტის კონცერტი იგეგმება, ჯაზის საერთაშორისო ფესტივალის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე. ორივე ღონისძიების სარეკლამო კამპანია დაწყებულია, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს იმ დეფიციტს, რაც MTV-ს ბათუმური ღონისძიებისთვის მზადების მხრივ იგრძნობა. მალტაში MTV-ს წლევანდელი ივნისის ფესტივალისთვის მზადება (ღონისძიების ხუთი წლისთავიძ და მისი სარეკლამო კამპანია ევროპულმა ქსელმა თებერვალში დაიწყო.

EURASIANET.ORG

## დედამიწის ზურგზე



**„დეტექტიური ისტორია“ ლიბიაში: კადაფი დაიკარგა დაბომბვისა და შვილის დაღუპვის შემდეგ**

აი უკვე ათი დღეა, მოამარ კადაფი არ გამოსულა ხალხის წინაშე და არ გამოჩენილა ტელევიზიით. შვილისა და შვილიშვილების დაკრძალვაზეც არ გამოჩენილა. არ არის გამორიცხული, რომ ის დაჭრილია ან შეიძლება მოკლულიც კი, აღნიშნავენ ტრიპოლში მომუშავე დიპლომატები. პრესა გაოგნებულია, მაშ, ასეთ შემთხვევაში ვინ სარდლობს ჯარებს.

* * *

**რადიოაქტიური გამონაბოლქვები აღინიშნა იაპონიის კიდევ ერთ ატომურ ელექტროსადგურზე**



გადამუშავებული გაზის გამონაბოლქვი შეინიშნა ატომურ ელექტროსადგურ „ცურუგაში“. 2 მაისს იქ მოუწიათ გაეჩერებინათ რეაქტორი. ამ დროს „ფუკუსიმა-1“-ის ატომურ ელექტროსადგურზე სპეციალისტები შევიდნენ პირველ ელექტრობლოკში და გაზომეს რადიაციის დონე შენობის წინა დღით გახსნილ კართან.

* * *

**ობამამ ისაუბრა ბინ ლადენის ამოუცნობ საიდუმლოებაზე: ნომერ პირველ ტერორისტს ჰქონდა ერთგვარი კავშირი „მხარდამჭერის ძსელთან“**



ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დღემდე არ იცის, თუ მრავალი წლის განმავლობაში ვინ ეხმარებოდა ტერორისტების ლიდერს, გაეწბილებინა ამერიკელი სპეცსამსახურები. შესაძლებელია, ამაში მონაწილეობდნენ პაკისტანის მთავრობის წარმომადგენლები, განაცხადა პრეზიდენტმა. პირდაპირი დამადასტურებელი საბუთები არ არსებობს, აღიარა ობამას მრჩეველმა და პასუხს მთავარ შეკითხვაზე ჯერჯერობით გვერდი აუარა.

* * *

**კეიტ მიდლტონის ოჯახმა დაიწყო ბრძოლა ინტერნეტში მაკომპრომიტირებელი ფოტოების წინააღმდეგ**

„მთელი ოჯახი აღშფოთებულია ამ გამყიდველობის გამო“, – აღნიშნავს ფოტოგრაფიის გადინებასთან დაკავშირებით მიდლტონების მეგობარი. ერთ-ერთ სურათზე პრინცის მეუღლის 27 წლის და ტიპა ლიფიანი ცეკვავს ნახევრად შიშველ კავალერთან, მისი ძმა კი, 23 წლის ჯეიმსი წარმოგვიდგა სავსებით შიშველიც კი – მადლობა ღმერთს, მას ფეხი გადაუბრუნდა და თავიდან აგვაშორა სირცხვილი.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# „მაგთიკომის“ კარგი ქართული საქმე

## ანუ „ლორთქიას“ არაჩვეულებრივი „მასპინძლობა“

**„თვალს თუ გადავავლებთ ქართულ კინოს, მისი განვითარების მრავალწლიან და რთულ გზას, ნათლად დავინახავთ, რომ ქართული კინო გამორჩეულია თავისი ტრადიციებით და ინდივიდუალობით.**

**ქართული კინოს განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა მრავალმა უნიჭიერესმა გამოჩენილმა მსახიობმა, რომელთაგან არ შეიძლება არ გამოვარჩიოთ ყველასათვის საყვარელი მსახიობი გურამ ლორთქიფანიძე, იგივე „ლორთქია“.**

**მან თავისი როლებით თავი შეაყვარა ქართველ მაყურებელს და სერიოზული სიტყვა თქვა ქართული კინოს ისტორიაში.**

**წიგნში, რომელიც გამოიცა კომპანია „მაგთიკომის“ მხარდაჭერით, გაშუქებულია გურამ ლორთქიფანიძის შემოქმედებითი გზა.**

**6 მაისს, გიორგობა დღეს, გურამ ლორთქიფანიძეს 81 წელი შეუსრულდებოდა და შემთხვევითი არ არის, რომ მისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია სწორედ მისი დაბადების დღეს დაემთხვა.**

**ეს იყო მსახიობის შემოქმედების არაჩვეულებრივი გამოფენა, სადაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს ყველასათვის საყვარელი მსახიობი.**

მაგთი
MAGTI

**ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ**


ჯანსუღ ჩარკვიანი


გია ყანჩელი


გეიდარ ფალავანდიშვილი

არადა ეს ერთის შეხედვით მცირე ინფორმაცია თავის თავში უამრავ რამეს იტევს.

პირველ რიგში კი მის უკან მსახიობის მიერ განვლილი უზარმაზარი შემოქმედებითი გზაა.

გზა, რომელიც სავსე იყო დიდი წარმატებებით და მცირე იმედგაცრუებებით, დარდით და სიხარულით, დანაკარგებითა და ახლის ძიებით.



ამ გზაზე გურამ ლორთქიფანიძეს მუდამ თან ახლდნენ მისი ოჯახის წევრები და მეგობრები. ისინი ფაქტობრივად ქმნიდნენ იმ გარემოს, სადაც ის როლები იბადებოდა, რომლებმაც ასე შეაყვარეს თავი ქართველ მაყურებელს.

სწორედ ეს ხალხი მოიწვია კომპანია „მაგთიკომმა“ 6 მაისს გურამ ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი წიგნის „ლორთქიას“ პრეზენტაციაზე.



შეკრებილ საზოგადოებას „მაგთიკლუბისთვის“ ჩვეული მყუდრო და სასიამოვნო გარემო დახვდა.

საღამოზე კომპანია „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თათული ღვინიაშვილი დიასახლისობდა.

მან შეკრებილ საზოგადოებას კომპანიის ამ მეტად საინტერესო პროექტის შესახებ მოუთხრო.

გამოცემის შესახებ ისაუბრეს ჯანსუღ ჩარკვიანმა, ელდარ შენგელაიამ, გურამ გომართელმა, გეიდარ ფალავანდიშვილმა, გამოცემის შემდგენელმა თამაზ ტყემალაძემ და სხვ.

„მაგთიკომს“ მადლობა გადაუხადა გურამ ლორთქიფანიძის მეუღლემ ქალბატონმა მედეა ციქურიშვილმა.

ორიოდე სიტყვის თქმა ვთხოვე ამ შესანიშნავი ღონისძიების ორგანიზატორს, კომპანია „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს თათული ღვინიაშვილს.

**— დღეს ჩატარდა კომპანია „მაგთიკომის“ კიდევ ერთი ღონისძიება ეგიდით „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“. ნამდვილად შესანიშნავი წიგნი გამოიცა. საიდან წამოვიდა ამ წიგნის გამოცემის იდეა?** — ვკითხე თათული ღვინიაშვილს.

— იდეა წამოვიდა გურამ ლორთქიფანიძის მეუღლის ქალბატონ მედეა ციქურიშვილისა და ბატონ თამაზ ტყემალაძისგან. ისინი მოვიდნენ „მაგთიკომში“ და ჩვენც დაუყოვნებლივ დავეთანხმეთ, სრული ფინანსური დახმარება გაგვეწია ამ უდავოდ საინტერესო ინიციატივისთვის.

დამეთანხმებით, რომ ნამდვილად ქართული საქმეა — მკითხველს მოუყვე ბატონ გურამის ნიჭზე, ამ უდავოდ ნიჭიერი ადამიანის არა მხოლოდ შემოქმედებითი გზის შესახებ, არამედ მისი პიროვნული თვისებების, მისი პირადი ცხოვრების შესახებაც.

ნამდვილი თბილისელობა, მეგობრების სიყვარული, იუმორის გრძნობა, რომლითაც თავი დაგვამახსოვრა, არის ის ინფორმაცია, რომელსაც მომავალი თაობა, მხოლოდ ფილმებიდან ვერ მიიღებს.

ფოტომასალა, წერილები, სხვადასხვა დროს დაბეჭდილი სტატიები ერთ გამოცემაში მოექცა, რითაც მკითხველს საშუალება მიეცა უფრო უკეთ გაეცნოს „ლორთქიას“ ცხოვრების უცნობ დეტალებს.

**— მსგავსი ღონისძიება „მაგთიკომისთვის“ პირველი არ არის. ამ დარბაზში არიან საზოგადოების მეტად საყვარელი ადამიანები, რომელთა ცხოვრება, რომელთა შემოქმედება ყველასათვის ძალზე საინტერესოა. თუ გეგმავთ ამ კუთხით მუშაობის გაგრძელებას?**

— გეთანხმებით, რომ „მაგთიკომისთვის“ ეს არ არის პირველი ღონისძიება. ცხადია სამომავლოდაც ვგეგმავთ მსგავსი პროექტების განხორციელებას. ჩვენთან მოდიან სხვადასხვა საინტერესო წინადადებებითა და ინიციატივებით, რომელთა განხორციელებაშიც „მაგთიკომი“ აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას.

რაც შეეხება დღევანდელ ღონისძიებას, გეტყვით, რომ რადგანაც დღეს ბატონ გურამის დაბადების დღეა, ამიტომ ჩვენ მხოლოდ მისი მეგობრები და ოჯახის წევრები მოვიწვიეთ. შემდგომში კი აუცილებლად გავაფართოებთ სტუმართა სპექტრს და საშუალებას მივცემთ ახალგაზრდებს, უფრო კარგად გაეცნონ ჩვენი პროექტების მიმდინარეობას, უფრო მეტი ინფორმაცია მიიღონ იმ გამოცემების შესახებ, რომლებიც უკვე განვახორციელეთ და რომლებსაც მომავალში ვგეგმავთ.

„მაგთიკლუბში“ ღონისძიება გვიანობამდე გაგრძელდა.

იყო ძველი მეგობრების მოფერება და განვლილი დღეების მოგონება. იყო კარგი ქართული სიმღერა და ლექსი. იყო მომავლის იმედი და რწმენა.

მე კი ჩემი მხრივ უნდა დავამატო, რომ ეს პრეზენტაცია არ იყო მხოლოდ ერთი ახალი გამოცემის წარდგენა საზოგადოების წინაშე.

ეს იყო კიდევ ერთი ქართული საქმე, რომელიც კომპანია „მაგთიკომის“ სახელთან არის დაკავშირებული.

**გია გაბრიჭიძე**


მარინა ჯანაშია


ომარ მხეიძე და დემურ ციციშვილი


ელდარ შენგელაია


ვანიკო მაჭავარიანი

## ინფორმაცია

### ზალიმხან მამედლი: აზერბაიჯანელებს სომხებისაგან განსხვავებით, საქართველოს მიწებზე თვალი არ უჭირავთ

**აზერბაიჯანი** და აზერბაიჯანელები საქართველოსა და ნებისმიერი სხვა ქვეყნის მიწაზე პრეტენზიას არ აცხადებენ. განცხადება ამის შესახებ საზოგადოება „ბორჩალოს“ წევრმა ზალიმხან მამედლიმ გააკეთა. ინფორმაციას ამის შესახებ საagentო „სალამნიუსი“ ავრცელებს.

თუ ქართული მოსახლეობა ნაპირსამაგრ სამუშაოებს არ აწარმოებს და თავის მიწებს არ ითვისებს ეს ქართული მხარის პრობლემაა. აზერბაიჯანელებს სომხებისაგან განსხვავებით სხვის მიწებზე თვალი არ უჭირავთ და მათ ათვისებას არ აპირებენ“, — განაცხადა მამედლიმ „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსათვის“ მიერ გავრცელებული განცხადების კომენტირებისას, რომლის მიხედვითაც, დედოფლისწყაროს რაიონში ალაზანის ადიდების შედეგად 150 ჰა აზერბაიჯანის მხარეს დარჩა.

ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა შოთა ჯამასპიშვილმა ამ საკითხისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აზერბაიჯანული მხარე გამუდმებით აწარმოებს ნაპირსამაგრ სამუშაოებს მდინარე ალაზანზე, რასაც არ აკეთებს საქართველოს ხელისუფლება. „იმის გამო, რომ მდინარემ კალაპოტი შეიცვალა, რომელზეც საზღვარი გადის, საქართველომ მიწები დაკარგა. ძალიან მალე აზერბაიჯანული მოსახლეობა აითვისებს ამ მიწებს და საქართველოს მათი დაბრუნება გაუჭირდება“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე ჯამასპიშვილმა.

ზალიმხან მამედლი ასევე აცხადებს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის რჩება სახელმწიფო საზღვრის რამდენიმე შეუთანხმებელი მონაკვეთი, მაგრამ ეს საკითხები წყდება ორმხრივი კონსულტაციების საფუძველზე.

### თბილისში მცხოვრები ომის ვეტერანები 200-ლარიან დახმარებას მიიღებენ

**უცნობი** ჯარისკაცის საფლავთან დედაქალაქის მერი გიგი უგულავა და პარლამენტის თავმჯდომარე მივიდნენ.

წინასწარ გავრცელებული ინფორმაციით, დედაქალაქის მერიისგან თბილისში მცხოვრები ომის ვეტერანები სიმბოლურად 200-ლარიან დახმარებას მიიღებენ. ასევე, ყველა გამგეობაში ომის ვეტერანებისთვის საზეიმო სადილი გაიმართა.

შეგახსენებთ, ფაშიზმზე გამარჯვების ისტორიულ თარიღს ქართველი ვეტერანები ვაკის პარკში აღნიშნავენ. ვეტერანებს ვაკის პარკში ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

ცნობისთვის, თბილისში 1348 ომის ვეტერანია.

ჯი-ეიჩ-ენი

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## კალათბურთი

# როცა მონასტერი აირია

**სპორტის მშვენიერი სახეობაა კალათბურთი, რომელსაც შნოსა და ლაზათს თვით მოთამაშეები და მსაჯები მატებენ, მაგრამ...**

სუპერლიგის პლეი-ოფის დამატებითი შეხვედრის დასრულებამდე სამი წუთით ადრე შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი 8 ქულით უგებდა „სოხუმს“, თუმცა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და საფინალო სასტვენამდე 8 წამით ადრე თვითონ აღმოჩნდა მდევრის როლში – 75:79. სწორედ ამ დროს აირია მონასტერი, ცეცხლზე ნავთის დასხმას კი ხელი ერთ-ერთი მსაჯის მაკა კუპატაძის უცენზურო რეპლიკამ შეუწყო.



რასაკვირველია, რაინდობას და შემწყნარებლობას ვერავის დაავალდებულებთ, მით უმეტეს მძაფრ ბრძოლაში ჩაბმულ ტემპერამენტიან ყმაწვილს. ჰოდა, რეპლიკის ადრესატმა ბესო ლეჟავამ არც აცია, არც აცხელა და მანდილოსანს სახეში თავური უთავაზა. ბარაქალა მის ვაჟკაცობას!

სხვათა შორის, აქამდე ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდით, ამიტომ ნურავინ გაიკვირვებს მომხდარს.

კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა კარატესთან ნაზიარებ ლეჟავას დისკვალიფიკაცია 2013 წლის 1 იანვრამდე გამოუწერა. იმედი ვიქონიოთ, ასეთი სასჯელი ბევრს დააფრთხობს.

* * *

**ევროლიგის ფინალი.** „პანათინაიკოსი“ – „მაკაბი“ 78:70.

**ნბა-ს ნახევარფინალი.** „ატლანტა“ – „ჩიკაგო“ 100:88 (სერიის ანგარიში – 2:2).

## ჩოგბურთი

# სოფიოს დუბლი

**თურქეთში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ძალებს ცდიდა პირველ ნომრად განთესილი სოფიო ქვაცაბაია. ჩვენებურმა მასპინძელთა იმედი გაამართლა:** მეოთხედფინალში რუსი იანა ორლოვა დაამარცხა – 6:0, 6:2. ნახევარფინალში რუმინელ ლაურა-ლოანა ანდრეის სძლია – 6:4, 2:6, 6:2. გადამწყვეტ პაექრობაში კი მე-4 ნომრად განთესილ ბელარუს ქსენია მილევსკაიას აჯობა იოლად – 6:2, 6:1.

ქვაცაბაიამ წყვილებშიც იყოჩაღა: რუმინელ ანდრეისთან ერთად ფინალში მლადენოვა (ბულგარეთი) – პრიშლაის (სლოვენია) დუეტს მოუგო – 6:2, 6:2.



## ფედერაციის თასი

# მიდის, მოდის, იქვე დგას



**ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროში დამთავრდა ჩოგბურთელთა ფედერაციის თასის გათამაშება. ევროაფრიკული ზონის მე-2 ჯგუფის 7 წარმომადგენელი იბრძოდა ზედა ეშელონში გადასასვლელად. მათ შორის – საქართველოს ქალთა ნაკრები.** ლალი ზერეკიძის შეგირდებმა (თათია მიქაძე, სოფიო შაფათავა, ეკა გიორგაძე; საფრანგეთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის გამო ნაკრებს ვერ შეეშველა ანა ტატიშვილი) ქვეჯგუფში ჯერ სომხები დაამარცხეს 2:1, შემდეგ ბოსნია-ჰერცეგოვინის გუნდთან წააგეს 1:2, მესამე შეხვედრაში კი თურქებს სძლიეს 3:0. ნახევარფინალში ქართველი ჩოგბურთელები პორტუგალიელებს დაუპირისპირდნენ და 0:2 დამარცხდნენ. პირენეელები პირველ ჯგუფში გადავიდნენ, ჩვენებურები კი ზონაში დარჩნენ. ზედა ეშელონის მეორე საგზური ბოსნიელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინელებს აჯობეს.

**ლექსო ცინცაძე.**

## უნივერსიადა – 2011

# ათვლა კარატემ დაიწყო

**წლეულს, 10 ივნისამდე გასტანს საქართველოს „უნივერსიადა-2011“, რომელშიც უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები სპორტის 20 სახეობაში გამოავლენენ უძლიერესებს.** კომპლექსური შეჯიბრება კარატისტებმა გახსნეს. კატაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ზვიად არაბული (სტუ), 2. ედემ ბერიშვილი (სასულიერო აკადემია), 3. თენგიზ კვერცხიშვილი (სეუ) და გიორგი გოჩიტაშვილი (საქართველოს უნივერსიტეტი). კუმიტეში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: დავით ტყებუჩავა (60 კგ, სასულიერო აკადემია), დავით პატარიძე (67, რკინიგზის უმაღლესი სასწავლებელი), ჰენრი ვეკუა (75, აგრარული უნივერსიტეტი), გიორგი ლიპარტელიანი (84, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი). გუნდური ადგილები: 1. სტუ, 2. სასულიერო აკადემია, 3. აგრარული უნივერსიტეტი.



**ლაშა დიდია.**

## ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის XXIII ტური.** „კოლხეთი“ – „ზესტაფონი“ 1:4, „ბაია“ – „ოლიმპი“ 3:1, „სიონი“ – „ტორპედო“ 1:4, „სამტრედია“ – „დინამო“ 1:2, „ვიტ ჯორჯია“ – „ცხინვალი“ 1:1.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ზესტაფონი“ – 72, „დინამო“ – 66, „ოლიმპი“ – 60, „ტორპედო“ – 48, „ვიტ ჯორჯია“ – 47, „ბაია“ – 41, „სიონი“ – 36, „კოლხეთი“ – 33, „სამტრედია“, „ცხინვალი“ – 28-28 ქულა.

**შემდეგი ტური (14 მაისი).** „ზესტაფონი“ – „სამტრედია“, „დინამო“ – „სიონი“, „ცხინვალი“ – „ბაია“, „ტორპედო“ – „ვიტ ჯორჯია“, „ოლიმპი“ – „კოლხეთი“.

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ – „ჩელსი“ 2:1, „სტოკი“ – „არსენალი“ 3:1, „ევერტონი“ – „სიტი“ 2:1.



**გერმანია.** „ვერდერი“ – „ბორუსია“ 2:0, „ლევერკუზენი“ – „ჰამბურგი“ 1:1, „სანკტ პაული“ – „ბაიერნი“ 1:8.

**იტალია.** „რომა“ – „მილანი“ 0:0, „ინტერი“ – „ფიორენტინა“ 3:1, „ლეჩე“ – „ნაპოლი“ 2:1, „უდინეზე“ – „ლაციო“ 2:1.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „ესპანიოლი“ 2:0. „სევილია“ – „რეალი“ 2:6, „ვალენსია“ – „სოსიედადი“ 3:0, „მალიორკა“ – „ვილიარეალი“ 0:0.

**საფრანგეთი.** „ნანსი“ – „ლილი“ 0:1. „ლიონი“ – „მარსელი“ 3:2. „მონაკო“ – „პსჟ“ 1:1.

**გიორგი შოთაძე.**

## ჭადრაკი

# ფავორიტები დანაკარგით იწყებენ

**გასულ უქმეებზე „შერატონ მეტეხი პალასში“ დაიწყო მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 26 ქვეყნის 130 წარმომადგენელი მონაწილეობს. პირველ-ორ ტურში რამდენიმე მოულოდნელი შედეგი აღინუსხა:** შეჯიბრების სტარტზე სიურპრიზები შემოგვთავაზეს ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკეებმა – ქეთი წაწალაშვილმა და მერი არაბიძემ. ქეთიმ 20-წლიანთა შორის მსოფლიოს ჩემპიონს, პლანეტის უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა პირველი ათეულის წევრ ანა მუზიჩუკს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და ორთაბრძოლა ყაიმით დამთავრდა.



ასევე, დაზავდნენ არაბიძე და მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), რომელსაც ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევენ. მეორე ტურში ჩრდილოელ მეზობელს ნახევარი ქულა წაწალაშვილმაც აართვა. ორგზის ევროპის ჩემპიონმა ტატიანა კორინცევამ (რუსეთი) ნახევარი ქულა თანამემამულე ბაირა კოვანოვასთან პაექრობისას დაკარგა. ამავე ტურში ვერც ნანა ძაგნიძემ შეძლო მაკა ფურცელაძის ძლევა – ყაიმი.

ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ლიდერობენ ნადეჟდა კორინცევა (რუსეთი), კატერინა ლახნო (უკრაინა), ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ბელა ხოტენაშვილი, ნაზი პაიკიძე, სოფიკო გურამიშვილი, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), მარინა რომანკო (რუსეთი), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), ელინა დანიელინი (სომხეთი), ევგენია ოვოდი (რუსეთი), ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი), ანა უშენინა (უკრაინა) ლილით გალოიანი (სომხეთი) და ქეთევან არახამია-გრანტი (შოტლანდია).

**გივი გაგუა**

**სურათზე: მერი არაბიძისა (მარცხნივ) და ალექსანდრა კოსტენიუკის შეხვედრის მომენტი.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

## ძიუდო

# მხოლოდ პაპინაშვილმა იყოჩაღა



**ბაქოს დიდი პრიზის გათამაშებაში, რომლის საპრიზო ფონდი 150 ათასი დოლარი იყო, თავი გამოიჩინა ქართველმა ძიუდოისტმა ამირან პაპინაშვილმა.** 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩვენებურმა ზედიზედ სძლია ყაზახ ასხატ ტელმანოვს, აზერბაიჯანელ ილგარ მუშკიევს, ფინელ ვალტერი იოკინენს, მონგოლ ბოლდბაატარ ჩიმედ-იონდონს და ოქროს მედალთან ერთად 3 ათასი დოლარი და 200 სარეიტინგო ქულაც მიითვალა. ზაიზენ-ბახერის დანარჩენი შეგირდები საპრიზო სამეულს ვერ შესწვდნენ.

## ინტერნეტიდან

### გამარჯვება მეგობრის ხსოვნას მიუძღვნა

**მსოფლიოს პირველმა ჩოგანოსანმა რაფაელ ნადალმა მადრიდის ტურნირში მთავარ მეტოქეზე როჯერ ნადალზე გამარჯვება კიბოთი გარდაცვლილი მეგოლფის სევერიანო ბალესტეროსის ხსოვნას მიუძღვნა.**



ბალესტეროსი გარდაიცვალა შაბათს 54 წლისა. უკანასკნელი სამი წელი ის ტვინის კიბოს ებრძოდა.

სევერიანო იყო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მეგოლფე, ბოლო ოცწლეულში.

ნადალის თქმით, ბალესტეროსის გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია ესპანეთის სპორტის ისტორიაში. საბედნიეროდ დარჩა მისი თამაშის ჩანაწერები და მასზე ხსოვნა.



### თამარმა ღიმილი დაუბრუნა

**თუმცა 24 წლის მცველი ერეკელ გარაი ძალზე დამწუხრებულია მადრიდის „რეალის“ წარუმატებლობით ჩემპიონთა ლიგაზე. მაგრამ არგენტინელი დეპრესიისაგან იხსნა ტელეარხის Telecinco ცნობილმა წამყვანმა თამარ გორომ.**

„მასთან ერთად მე ყველაზე ბედნიერი ვარ ამ ქვეყანაზე, – განაცხადა 21 წლის ლამაზმანმა, გარაის ღიმილი რომ დაუბრუნა. ახლა მას აღარ ადარდებს ჟოზე მოურინიოს ბედი, რომელიც შესაძლოა, მალე „გაფრინდეს“ სამეფო კლუბიდან. ახალი მწვრთნელის ხელში კი ერეკელს იმედი აქვს, რომ უფრო ხშირად მოხვდება მინდორზე.

„აბა, რით მჯობია პეპე, მრავალჯერ რომ დააღალატა გუნდი? – კითხულობს ფეხბურთელი, ლამაზმანმა რომ შეიყვარა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

შეხვედრა

# „ვარდების რევოლუციიდან 7 წლის შემდეგაც სოფელ დიღომში წყლის, გზის და მიწის საკითხი არ მოგვარებულა“

**რესპუბლიკელი თინათინ ხიდაშელი და რესპუბლიკური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საბურთალოს ორგანიზაციის კომიტეტის წევრი ჯემალ თეთრაშვილი სოფელი დიღმის მოსახლეობას შეხვდნენ.**

შეხვედრაზე მოსახლეობამ საკუთარ პრობლემებზე ისაუბრა. კერძოდ, სოფელი შეწუხებულია, რომ თბილისთან შეერთების შემდეგ არავითარი პროგრესი და წინსვლა სოფელს არ შეხებია.

მოსახლეობის განცხადებით სოფლის მნიშვნელოვან ნაწილს წყალი საერთოდ არ მიეწოდება, ხოლო მეორე ნაწილი კვირაში რამდენიმე საათით იღებს. ამის მიუხედავად, წყლის გადასახადზე გაზრდილი ტარიფით სულადობის მიხედვით ქვითარი ყველა ოჯახში მისდის, და ახალი წესების შესაბამისად, გადაუხდელობის შემთხვევაში ელექტროენერგიის გათიშვით ემუქრებიან. სოფელი დიღმის მოსახლეობა აპროტესტებს წყლის გადასახადის უკანონობას. ამის გარდა, სოფელს საერთოდ არა აქვს კანალიზაციის ცენტრალური სისტემა, წყალი არ მიეწოდება სკოლას და საბავშვო ბაღს.

რესპუბლიკური პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, პრობლემურია გზის საკითხიც, რომელიც მთელს სოფელში მოუწესრიგებელია.

ტრანსპორტის ახალი სქემების შემდეგ სოფლიდან გადაადგილებაც გართულდა, სამივე ავტობუსის ხაზი, რომელიც ემსახურებათ ერთი და იმავე მარშრუტით, მეტრო დიდუბემდე დადის, არ დადის სამარშრუტო ტაქსები. მოსახლეობის მოთხოვნაა ხაზების მიმართულების შეცვლა და გადაადგილების გამარტივება.



სერიოზული პრობლემაა დასუფთავების სამსახურის საქმიანობაც. მოსახლეობის ნაწილი აცხადებს, რომ მათ უბნებს დასუფთავების მანქანები საერთოდ არ ემსახურებათ, ნაგვის ბუნკერები არ დგას, ამის მიუხედავად, 25-ლარიანი გადასახადი ყოველთვიურად მოსდით, რაც მათთვის უზარმაზარი ტვირთია.

თინათინ ხიდაშელი აცხადებს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მნიშვნელოვან საყოფაცხოვრებო პრობლემასთან ერთად უმნიშვნელოვანესი პრობლემა მაინც ისაა, რომ „ვარდების რევოლუციიდან“ 7 წლის შემდეგაც სოფელ დიღომში გადასაწყვეტია მიწის საკითხი. რამდენიმე წლის წინათ, სწორედ მოსახლეობის მხარდაჭერით და მეცადინეობით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი კორუფციული სქემის გახსნა, პასუხისგებაში მისცეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, 560 ოჯახი დაზარალებულად იყო ცნობილი, დღემდე არავითარი კონკრეტული ღონისძიებები არ განხორციელებულა ამ ადამიანების პრობლემების მოსაგვარებლად და მიწის კანონიერი მფლობელებისათვის გადასაცემად.

სოფელში ეჭვობენ, რომ მათი თბილისთან შეერთებაც სწორედ მიწის გამო მოხდა. მათი განცხადებით, მამაპაპისეულ მიწებს სხვა ადამიანები ეპატრონებიან დღეს, და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უბრალოდ ბედის ანაბრად არის მიტოვებული.

შეხვედრაზე თინათინ ხიდაშელი მოსახლეობას დაპირდა, რომ მათ პრობლემებში გაერკვევა და ორი კვირის შემდეგ დამატებით ინფორმაციას მიაწვდის, რა შეიძლება გაკეთდეს, ერთობლივად, რესპუბლიკელების მხარდაჭერით, რომელიც ეფექტიანი აღმოჩნდება ხელისუფლების უგულისყურობის დასაძლევად.

**ნატა ნიბლაძე**

---

## არჩილ თოფურიძის ხსოვნას

# ქართული ხელოვნების დანაკლისი

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, დაღესტნის რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე არჩილ თოფურიძე.

დაიბადა 1938 წლის 24 თებერვალს თბილისში ცნობილი მოქანდაკის ვალენტინ თოფურიძის ოჯახში. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტზე ( 1956-1963წ ნიკოლოზ კანდელაკთან, შოთა მიქატაძესთან, სერგო ქობულაძესთან...

ბუნებრივი ნიჭის მქონე, ქანდაკების კარგი სკოლაგავლილი ახალგაზრდა ხელოვანისთვის ყველაზე ძნელი დასაძლევი იყო დიდი მოქანდაკის შვილობის სინდრომი. მან ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო, მოძებნა რა საკუთარი შემოქმედებითი გზა, მაინც ბოლომდე ცდილობდა მოეხსნა ეს სინდრომი. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი 1964 წლიდან გამოფენებში მონაწილეობდა 1965 წლიდან.

საზოგადოების ყურადღება მან სადიპლომო ნამუშევრითვე – ქალის ფიგურით – „დილა“ მიიპყრო. შემდგომში მისმა ნამუშევრებმა დაამშვენეს თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქები. მათ შორის იყო ქვაში ამოკვეთილი საინტერესო რელიეფები დაღესტანში, მახაჭკალის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ფასადისთვის.

შემოქმედებითი მოღვაწეობის მრავალი წლის მანძილზე არჩილ თოფურიძემ შექმნა მრავალი კომპოზიცია – მარმარილოს კომპოზიცია ბიჭვინთაში, რელიეფი „ბერიკაობა“, რელიეფები ჭიათურის კულტურის სასახლისთვის („თეატრი“, „მუზა“ და სხვაძ, პორტრეტი (ქალთა პორტრეტების სერიაძ. იგი შეეხო სპორტის თემასაც, გამოძერწა მოჭიდავის შთამბეჭდავი ფიგურა. მის ყველა ნამუშევარში გამომჟღავნდა მასალის ფლობის უნარი, საინტერესო შემოქმედებითი ძიების უნარი.

იგი მუშაობდა გრაფიკაშიც – გამოირჩეოდა მისი ნახატების სერია-ილუსტრაციები შექსპირის თემებზე.

მოქანდაკის ნამუშევრები დაცულია სურათების ეროვნულ გალერეაში, ქუთაისის დ. კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეაში, საქართველოს და უცხოეთის კერძო კოლექციებში.

სამწუხაროდ, მოქანდაკის ზოგიერთი სკულპტურული ნამუშევარი არ შემორჩა – ნაწილი დაზიანდა, განადგურდა ეროვნული გალერეის საცავის ხელყოფის დროს XX საუკუნის 90-იან წლებში.

საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირი.

---

შვილი ალექსანდრე, რძალი ნათია, შვილიშვილები ოთარ, გიორგი ანჯაფარიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან გაგოშიძე-ანჯაფარიძე

გამოსვენება 10 V, 15 სთ. მისამართი: თბილისი, შევჩენკოს ქ. № 5. სადარბაზო III. ბინა 38.

---

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

2011 წლის 16 მაისს დღის 11 საათზე დანიშნულია სს „განახლებული მექანიზაციის“ სამართალმემკვიდრე შპს „იბერ კომპანი – თელადას“ პარტნიორთა საერთო კრება. პარტნიორებს ვთხოვთ გამოცხადდნენ ქ. თელავში, აჩინებულის № 1-ში. დასწრება სავალდებულოა. გამოუცხადებლობის შემთხვევაში საერთო კრება იმსჯელებს გამოუცხადებელ პარტნიორთა გარიცხვის თაობაზე.

შპს „იბერ კომპანი – თელადას“ დირექცია.

---

ყოფა

# ტვირთი, რომელსაც ყველას ერთიანად გვაზიდინებენ

**ახალი წლის დადგომასთან ერთად ჩვენს ყოფაში ძალუმად შემოჭრილი ახალი საგადასახადო კოდექსის მძიმე ხელი სამამულო საშუალო და, მით უმეტეს, მცირე ბიზნესს უმალვე დაეტყო. ბევრმა საშუალო საწარმოს მეპატრონემ თავის არიდება და წარმოების შეწყვეტა ამჯობინა. ასევე მოიქცა ბევრი საცალო მოვაჭრეც, რომლებსაც „ახალმოდური“ ბუღალტერიის წარმოებასთან, ასევე ადრე შეძენილ საქონელზე ზედნადებებთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეექმნათ. ყოველივე ამის შედეგად, „გარეკილი“ ინფლაციის ფონზე „თავის ნებაზე მიშვებული“ სამომხმარებლო ფასებით უაღრესადაა აღშფოთებული მოსახლეობა, რომელიც კიდევ უარესი ყოფის მოლოდინშია, რადგან სასურსათო საქონელთან ერთად საყოფაცხოვრებო პროდუქციაც გაძვირდა, რასაც დიდწილად საბაჟო მოსაკრებლის მომატებასა და განბაჟების სიახლეებს უნდა ვუმადლოდეთ.**

განახლებული საგადასახადო კოდექსის რკინის ხელის შეუბრალებლობას, რომლის ამოქმედებასთან დაკავშირებული მოლოდინის ნაირფერი ოცნებები სიზმარივით გაქრა, თბილისის ბაზრობებზე გაუქმებული, დაკეტილი, ხშირად დალუქული პატარ-პატარა მაღაზიები მოწმობს. ვისაც ბოლო დროს ბაზრობებზე გაუვლია მაინც, უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას, რომ იქსავაჭრო ფართების თითქმის ნახევარი ცარიელია, ხოლო სხვაგან დახლებზე საქონელი კი დევს, მაგრამ დახლებთან არავინაა – რას იზამ, ხალხს ფული უჭირს, ფასები კი უსახსროთათვის, მაღალია... ამასთან აღსანიშნავია, რომ თუ დედაქალაქში ბაზრობებსა და აგრარულ ბაზრებთან მიმართებაში ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ გატარებულ პოლიტიკას დავაკვირდებით, მაგალითად, საბურთალოსა და „დეზერტირების“ ბაზრების მოშლას, ელიავას ბაზრობის თბილისის საზღვრებს გარეთ გატანის ჩანაფიქრს, ბაზრობა „თეთრი ქალაქის“ შედარებით ახლად აშენებული ნაგებობის წინა ნაწილის გაურკვეველი მიზეზით მოშლას და სხვა, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, რომ ქალაქში ბაზრობები საერთოდ აღარ დარჩება. იქნებ მართლაც უკეთესი იყოს მათ ადგილას ნამდვილად უფრო ცივილიზებული იერსახის სავაჭრო ცენტრების არსებობა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამით უძლიერესი დარტყმა მიადგება საქონლის წვრილ იმპორტიორებს, რომლებსაც სიცოცხლეს ჯერ საქონლის საზღვარგარეთიდან შემოზიდვისა და განბაჟების ახალი წესები უმწარებენ, ახლა ამას სავაჭრო ადგილების მომატებული საიჯარო გადასახადიც დაემატება... გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამით სრულიად უგულებელყოფილია სავაჭრო ეკონომიკის ისეთი ფუძემდებლური პრინციპი, როგორიცაა თავისუფალი ვაჭრობის უფლება.

ეს რაც შეეხება სხვადასხვა სასურსათო თუ საყოფაცხოვრებო საქონლით წვრილ მოვაჭრეებს. ახლა მომხმარებლის ამბავიც ვთქვათ, რომელთა რიცხვში, უკლებლივ ყველანი ვართ – წვრილი მოვაჭრეებიც და მყიდველებიც. რამდენიც არ უნდა გვიკიჟინონ დიდი სავაჭრო ცენტრების, ვნებავთ, „თეთრი ქალაქის“, ვნებავთ კიდევ უფრო მეტად მოდერნული „ქარვასლის“ მესვეურებმა, აქაოდა სავაჭრო ფართის ყოველთვიური გადასახადი მაღალი არ არის, საქონლის ფასზე იმდენად ზომიერად აისახება, კაცი შვილი ვერ იგრძნობსო, ეს მტკნარი წყლის სიცრუეა. სხვა თუ არაფერი, ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია თავის არჩევანით რომელ ბაზრობაზეც სურს მიბრძანდეს, მერე ნებისმიერი სავაჭრო ცენტრების სასურსათო, ანდა საყოფაცხოვრებო საქონლის მაღაზიებს ეწვიოს. ვისაც ეს „ბედნიერება“ არ ჰქონია, სიტყვაზე მენდოს: სუპერმარკეტებში ნებისმიერი სახეობის საქონელზე ფასები 10-40, ზოგჯერ მეტი პროცენტითაც უფრო მაღალია. სხვანაირად არც შეიძლება რომ იყოს, რადგან, მაგალითად, მარტო „ქარვასლაში“ 30 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიციაა დაბანდებული, რომლის ამოღების და, ცხადია, მოგების მიღების უმნიშვნელოვანესი წყარო სწორედ სავაჭრო ფართის გაქირავებით მიღებული შემოსავალია.

მაშ, სად არის გამოსავალი? – უთუოდ იკითხავთ. სად და, ჩვენი აზრით, იმის მაგივრად, რომ დედაქალაქის მერიამ თბილისელთა ფულით ელიტური გუდაურის სამთოსათხილამურო კურორტის ინფრასტრუქტურის გამართვა დააფინანსოს, სადაც დასვენება რიგით მოქალაქეებს, უკაცრავად, მაგრამ თვალგასაწვდენ მომავალში არანაირად არ „ეჯღანებათ“, უმჯობესია, ეს მილიონები ისევ თანამოქალაქეთა ყოფის ოდნავ მაინც შემსუბუქებას მოახმაროს და თავად იზრუნოს სავაჭრო ცენტრების აგება-კეთილმოწყობაზე.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს „ქალაქის მამებად“ წოდებულებს აზრადაც არ მოსდით, თორემ იმ სისულეებთან შედარებით, რაშიც ჩვენი საერთო ფული იხარჯება, პატივცემულო მკითხველო, გუდაურის აშენება-კეთილმოწყობა ნამდვილად კეთილშობილური, საშვილიშვილო საქმეა, რომლის კეთებას ჩვენ მაინც არავინ გვეკითხება.

**ოთარ ტურაბელიძე**

---

ნომრის კარიკატურა



– ნახე, დედა, ბავშვი სულ მამამისს დაემსგავსა.
– ეგ არაფერი, შვილო, მთავარია, ჯანმრთელი იყოს...

ამირან ერაძის ნახატი.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## დაიჯესტი

### ჭადრაკი, რომელიც თავისივე სიძვირფასემ დაღუპა



**მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ჭადრაკი ინდოეთში წარმოიშვა, როგორც ძლიერთა ამა ქვეყნისა, მაჰარაჯათა გასართობი თამაში.**

არაბი მოგზაური ალმასუდი, რომელიც ინდოეთში მე-10 საუკუნეში იყო ჩასული, წერდა, რომ უნახავს ჭადრაკის ფიგურები, რომლებიც ადამიანებსა და ცხოველებს განასახიერებდნენ. ეს ფიგურები იმ ზომისანი იყვნენ, რომ მათ გადასაადგილებლად კაცი ფეხზე უნდა წამომდგარიყო.

ასეთი ჭადრაკი დიდ ფასეულობას წარმოადგენდა, რადგან ფიგურებს სპილოს ძვლისგან, ანდა ხის იშვიათი ჯიშებისგან თლიდნენ, თანაც პატიოსანი თვლებით ამკობდნენ. ასეთ ჭადრაკს, ჩვეულებრივ, მაჰარაჯას საგანძურში ინახავდნენ, ამდენად გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ არქეოლოგებმა მათ ვერსად მიაგნეს. სამაგიეროდ ისინი სწორედ მათ სიძვირფასემ დაღუპა – ჭადრაკის კომპლექტებს ძარცვავდნენ და იპარავდნენ, ამდენად ჩვენამდე არც ერთ ასეთ ფიგურას არ მოუღწევია. მათ შესახებ მსჯელობა მხოლოდ ერთი შემორჩენილი არაბული (და არა ინდურიძ ფიგურით შეგვიძლია, რომელიც პარიზის ერთ-ერთ მუზეუმშია დაცული. გადმოცემით, ეს ფიგურა შედიოდა ჭადრაკის იმ კომპლექსში, რომელიც ლეგენდარულმა ჰარუნ ალ-რაშიდმა კარლოს დიდს გამოუგზავნა საჩუქრად.

### „თეთრკანიანთა“ ომი... მწერებთან



**ზებრის ერთ-ერთი ნაირსახეობის, კვაგის ბოლო წარმომადგენელი ლონდონის ზოოპარკში ზუსტად ერთი საუკუნის წინათ მოკვდა. თავიანთ სამშობლოში კი, სამხრეთ აფრიკაში, კვაგები ჯერ კიდევ 1880 წლისთვის გადაშენდნენ.**

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ წყნარი ოკეანის კუნძულებზე თეთრკანიანი ადამიანის გამოჩენის შემდეგ, იმ ადგილებში მწერთა ყველა სახეობის მესამედი გადაშენდა.

### GUCCI, ARMANI, შემდეგი ვინ არის?




**ახლო აღმოსავლეთი, აფრიკა, სამხრეთ ამერიკა, ჩინეთი და რუსეთი – ასეთია საქვეყნოდ ცნობილი მოდის სახლის „გუჩის“ (Guccid ახალი ფეშენებელური სასტუმროების ადგილსამყოფელთა გეოგრაფია.**

აღნიშნულ რეგიონებში მთლიანად დაგეგმილია 40 ლუქსის კლასის სასტუმროს აგება, სადაც სტუმრებს მაღალი კლასის მომსახურებასა და ფუფუნებას შესთავაზებენ. პირველი, 87-ნომრიანი სასტუმრო შარშან დეკემბერში დუბაიში გაიხსნა, სადაც ნომრის სადღეღამისო ფასი 400-დან 6800 დოლარამდე მერყეობს. „გუჩი“ რიგით მეორე ბრენდია, რომელმაც დუბაიში სასტუმრო გახსნა: შარშან აპრილში იქ, მსოფლიოში ყველაზე მაღალ ცათამბჯენ „ბური ხალიფაში“, არანაკლებ ცნობილმა „არმანის“ (Armanid მოდის სახლმა გახსნა.

### მელოტი, მაგრამ ყოჩაღი

**თმის საფარის დაკარგვას ბევრი მამაკაცი ძალიან მტკივნეულად რომ განიცდის, ფაქტია. მათი აზრით, ამის შედეგად ისინი ქალებისთვის ნაკლებად მიმზიდველნი არიან. არადა, სრულიად უბალნო შიმპანზე ვილი უდიდეს განცხრომაშია იმის გამო, რომ ტანზე ერთი ბეწვი თმა არა აქვს.**

ვილი სამხრეთ ინდოეთის მაგლუკის პროვინციაში ქალაქ ბაისურის ზოოპარკში ცხოვრობს და მის სანახავად ყოველდღე უამრავი ხალხი მიდის, რომლებს ის დიდი სიამოვნებით აჩვენებს ბატიბუტებივით კუნთებს. ხოლო როცა მნახველთა ყურადღება მობეზრდება, ვილი მათ ქვებსა და გამხმარ ფეკალიებს უშენს.

მეცნიერებმა ბევრი სცადეს ამ შვიდი წლის უბალნო მამრის გენეტიკური საიდუმლოების ამოხსნა, მაგრამ ამაოდ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ვილის მიმართ მდედრი შიმპანზეები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ, რომელთაგან ერთ-ერთი, ლუსი ზოოპარკის მსახურებმა ცალკე გალიაშიც კი ჩასვეს. საქმე ის არის, რომ ეს „ქალბატონი “ ვილიზე იმდენად „ავარდნილი“ იყო, რომ ცოფავდა, როცა ის ყურადღებას არ აქცევდა და მნახველებს უკანალს უჩვენებდა.





## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● პლუტარქე ამბობს, რომ სოკრატე ამას „აზროვნების გამახვილების მიზნით“ აკეთებდა, ასევე იქცეოდა სენეკაც. ჰორაციუსი ამ ხერხით კურნავდა ავადმყოფებს მძიმე სენისგან. ამის გაკეთება უყვარდა პუშკინსა და ტოლსტოის, სუვოროვს კი ფანატიკურად. ქართველი პოეტის აზრით კი ამის გარეშე მამულს ვერ შეიცნობ, – ეს არის ფეხშიშველა სიარული ბუნებაში.

● ჰიტლერი ხალხის წინაშე გამოსვლის დროს ყოველ 53 სიტყვაში ერთხელ აუცილებლად ამბობდა: „მე“-ს, მუსოლინი – 83-ში, რუზველტი 100-ში, ჩემბერლენი – 249-ში.

● ნაპოლეონს ბერლინში შეხვდნენ არა როგორც გამარჯვებულს, არამედ როგორც გამათავისუფლებელს.

● როგორც ცნობილია, ჰეროდიტე „ისტორიის მამად“ არის აღიარებული და მას ეს პირველად უწოდა – ციცერონმა.

● ჟან-ჟაკ რუსო საკანომდებლო ხელისუფლებას „სახელმწიფოს გულს“ უწოდებდა, ხოლო სააღმსრულებლოს – „სახელმწიფოს ტვინს“.

● მართალია, სოლომონი ბრძენი იყო, მაგრამ მისთვის ოთხი რამ იყო გაუგებარი: „არწივის გზა ცაში, გველის – კლდეზე, ხომალდების – ზღვაში და „კაცისა – ქალის გულისკენ“.

● პეტრე I-მა 1715 წლის 1 სექტემბერს გამოსცა ბრძანებულება, რომელიც კრძალავდა ჩექმებზე რკინის ლურსმნის ან სამაგრის დაჭედებას. ასევე ისჯებოდა მათი შენახვა და გაყიდვა. კანონდამრღვევი ისჯებოდა ქონების კონფისკაციით და კატორღაში გადასახლებით. ეს ბრძანებულება გამოიცა იმ მიზნით, რომ ხის ფიცარნაგებით დაგებული გზები არ დაზიანებულიყო.

● ნაპოლეონ ბონაპარტი ნამდვილად არ იყო ექსცენტრიკული პიროვნება, მაგრამ გილიოტინით დაემუქრა ყველა მზარეულს, თუკი გაბედავდნენ და სადილად ფრინველის ხორცს მიართმევდნენ.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6575 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4470 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7299 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0637 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.4715 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0947 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0809 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0833 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5513 ლარი |



რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

## კადრი



## ანეკდოტები

– ალო, ქალიშვილო! თქვენი განცხადება წავიკითხე და თუ შეიძლება, „სვიდანიაზე“ მოხვიდეთ?

– კი, ბატონო, მაგრამ როგორ უნდა გიცნო?

– მე, ჩემო კარგო, დაბალი ვარ, ღიპიანი, მელოტი და წვერიანი.

– უი შე სასიკვდილე, შენ დაგაყარე მიწა, ვახტანგიე ხარ ხომ?

* * *



ავტობუსში მგზავრობისას:

– თუ შეიძლება, ადგილი დამითმეთ, შიდსით ვარ ავად... არა, არა მე ერთი ადგილი გთხოვეთ, ყველანი ნუ წუხდებით.

* * *

საპარიკმახეროში დალაქი ეკითხება მეგრელ კლიენტს:

– ფეხბურთში რომელ გუნდს გულშემატკივრობ?

– რომელსაც თქვენ, გენაცვალე, – მიუგო კლიენტმა.

– კი მაგრამ, თქვენ რა იცით მე რომელ გუნდს ვგულშემატკივრობ?

– მე არ ვიცი, მაგრამ სამართებელი თქვენ გაქვთ და მე რა ვქნა, მაგალითად?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24